

ქართული
საბავშვო



გ. შინაბერიძე



უზრხალ „ჭეჯილისა“

I	რა კარგათ ვსხედვართ! სურათი	674
II	ქრისტეს შობა, ლექსი გ. ქუჩიშვილისა	675
III	წერილი ღვთის მშობლისადმი. (თარგმანი) რაფა- ელა სიდაფასი	676
IV	საახალწლო ლექსი, შიგ მღვიმეჯისა	689
V	თვალთ მაქცი ნაკვერჩხლები; ზღაპარი (გადმოკე- თებული). იტა ნაკაშიძისა	683
VI	სიმდიდრის მაძიებელი (აღმოსავლეთის თქმულე- ბა) ს. ქეღბაქიანისა	689
VII	თოვლის ფერია (ფრანგულიდან) ეკ. მესხისა	691
VIII	რათ შუის ნიჟარა—ზღაპარი, თარგმანი ტასოსა	700
IX	წვრილმანი: გამოცანები, ზმა, რებუსი—	703
—————		
X	შობის ღამე, ლექსი გადმოკ. ი. შვედლიშვილისა	705
XI	ბრძოლის მოლოდინში ეკ. გაბაშვილისა	710
XII	ბიძიას ნაამბობი, ბავშვების ცხოვრებიდან, (და- სასსული)—აფ. ნათაძისა	717
XIII	დათუნიას ოინები სკოტფორდისა (დასასრული) თარგმანი—ფ. სიჭაძისა	720
XIV	აქვითინდა ლექსი, ჯადო გებგუჯორისა	727
XV	მამინ სიბირიაკი. ნეკროლოგი ა. ფ—ასი	728
XVII	ყველაზე ძვირფასი	730
XVIII	წვრილმანი: გამოცანა, ანაგრამა და შარადა	731
XVI	შინაარსი მთელი 1912 წლისა	733

ჭეჯილის 1913 წლის ხელის მომწერლებს
 საჩუქრათ დაურიდებათ
 დასურათებული წიგნი.

ჩვენი გეგმობები



საქართველო ნახატებიანი
ქურონალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

დეკემბერი, 1912

154.

◆ წელიწადი მეოცდასამე ◆

საქართველოს ეკონომიკური ცენტრი

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1912



ქართული
ლიბრერი



← წამოხატოვან იმედიან ←

რა კარგად ვსხედვართ!

ქრისტეს შობა.

ღღეს შობაა,
ღღეს შობაა,
ქრისტეს მტრების
დამშობაა.

საღესური.



ღღეს იშვა ის,
ვინც ქვეყნას
მოეჯლინა მწედ
და მსსნელად,

ვინც ეწამა და მით გახდა
მრავალ საღსთა სალოცველად...

ღღეს იშვა ის, ვინც აღენთო
დაჯრდომილთა თანაგრძნობით,
ვინც მონობას სისღს უთვლიდა,
ისსენებდა კრულვაგმობით...

ღღეს იშვა ის ვისაც ერქვა
სიუვარულის მოციქული;
ვინც თვისად სცნო ტვირთ-მძიმეთა
სულის კვნესა, გულის წელული...

გ. ქუჩიშვილი.



წერილი

ღვთის მშობლისადმი.



რთ სუსხიან ზამთრის საღამოს, ქალაქ ჰარისის ხალხით სავსე ქუჩაზე, მიდიოდა ჰატარა ბავშვი. მისი ფერმკრთალი დაღლილი სახე, დაკონკილი ტანისამოსი, რომელიც ძლივს ფარავდა მის სხეულს ამტკიცებდა მის სიღატაკეს და გაჭირვებას. ბავშვი შვიდი წლისა მეტი არ იქნებოდა. ეტეობოდა რომ ცხოვრებაში მას მოელოდა ხოლო მწუსარება და სიმძილი!

ბიქტორი, ასე ეძახდენ ბავშვს, დიდი ხანია ფიქრობდა, რომ უნდა ვისმეს დავაწერინო მოწვალების სათხოვრათ წერილიო, თვითონ წერაკითხვა არ იცოდა. ბავშვა შესედა ერთ ნაცნობ სახლს და ფესი აახქარა. ამ სახლში ცხოვრობდა ჯარის კაცთა ნამყოფი მოხუცი ლაშქერტი. ბავშვა იცოდა რომ ეს მოხუცი სშირათ უსასყიდლოთ უწერდა ღარიბებს წერილებს.

— ეკებ მეც დამიწეროს უფასოთ, იფიქრა ბიქტორმა, როდესაც სახლს მიუახლოვდა.



ბავშვა წენართ შეადო კარები და აკანკალებული სმით წამოიძახა:

— გამარჯობა, ბატონო ლამბერტო!

— გაგიმარჯოს! რისთვის მოსულხარ, ბიჭუნა? ეგებ შენც მომთხოვო ვისმესთან წერილის დაწერა! წინათვე გიცხადებ, რომ წერილის დაწერა ეღირება აბაზი და რისხვით შესედა ბავშვს.

ბიქტორს ფერი ეცვალა და წაიბუტბუტა:

— მე ფული არა მაქვს, და დააპირა წამოსვლა. მოსუცმა ჯარის კაცმა რომ ბავშვის გულ-უბრევილო სასე დაინახა—კაი გუნებაზე დადგა და მოინდომა კარემოების გამოკითხვა.

— ვინ არის ძამა შენი? ეგებ ისიც ჯარის კაცია ჩემსავით?

— არა, უპასუხა ბავშვმა. ძამა არა შეავს მემუავს ძვირფასი დედა, რომელიც ძალიან მიუვარს. ჩვენ ძლიერ ღარბინი ვართ, ფული სრულებით არა გვაქვს...

— ჭოო! შენ გინდა მისწერო წერილი რომელიმე ძდიდან, რომ შეგეწიოს, ასე ბავშვო?

ბიქტორმა გაიღიმა, გაეხარდა, რომ მოხუცი მიუსვდა.

— აბა, მითხარ, დაეკითხა ლამბერტი, —სასელი, გვარი იმ ვაჟბატონისა, ვისაც უგზავნი.

— ის ვაჟბატონი არ არი, უთხრა შეკრთომით ბავშვმა.

— მაშ სჩანს ვინმე ძდიდარი ქალი ვოფილა. სთქვი რაღა, რისთვის გაჩუმებულხარ, უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა მოხუცმა.

ბავშვი წამოწითლდა და ჩურჩულით სთქვა:

— ბატონო ლამბერტ, გთხოვთ ჩემ მაგიერათ მისწეროთ წერილი ღვთის მშობელ მარიამს.

მოხუცმა გაღასდო კალამი. მისმა სახემ მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

— გაძიგონე, ბიჭო, შენ მე გიჯათ მთელი თუ რა არი! ახლავე დაშეკარგე აქედან, თორემ უურებს აგისრეს.

ბიქტორ ძალიან შეაშინა მოხუცის წერომაძი. თვალებში ცრემლები მოადგა, დაიბნა, სახესე ნაღველი გამოეხატა.

ჯარის კაცი კეთილი იყო და გული აუჩუყდა ბავშვის შეწუხება რომ დაინახა.

— რა გქვინან, შე საცოდავო?

— ბიქტორი,

— გვარი არ გახსოვს?


— არა.

— რა გინდა მისწერო ღვთის მშობელს?

— ორი დღეა დედა ჩემს სძინავს, მინდა მას ვსთხოვო, შევევედრო დედაღვთისას, გამიღვიძოს დედაჩემი, მე ვერ გავაღვიძე, რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ არ იღვიძებს. დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის მშობელი მას გააღვიძებს. ერთი სათხოვარი კიდევა მაქვს ღვთის მშობელთან. შემახვეწე, რომ ცოტა ჰური მოგვცეს.

ამ გულისაკლავმა ამბავმა ძალიან იმოქმედა მოხუცსე.

— მამ თქვენ ლუკმა ჰურიც არა გქონიათ?



— არა. ძილის წინეთ დედამ უკანასკნელი ლუკმა მე მომცა. თვითონ მთელი დღე არაფერი უჭამია, ამბობდა: მამდარი ვარო.

— როგორ გინდოდა გაგეღვიპებინა დედა? კიდევ ჭკითხა მოხუცმა.

— ხელი მოვკიდე იმ ხელზე, რომელშიაც კრიალოსანი ეჭირა და ეელზე მოვეხვიე.

— იგრძენ მისი სუნთქვა?

ბავშმა გაოცებით უპასუხა:

— არ ვიცი! განა ყოველთვისაა საჭირო სუნთქვა?

ლამბერტი მეტის მეტად შეაწუხა ამ პასუხმა და განაგრძო:

— როდესაც დედას ხელი ასელი, ვერაფერი შეამჩნიე?

— დედის ხელი მაგარი და ძალიან ცივი იყო, მაგრამ ჩვენ ქოხში ხომ ძალიან ცივა. დედა წვეს და ისეთი ლამაზია: თვალები თითქოს ცას უცქერიანო, გულ-ხელი დაკრეფილი აქვს (ხელში კრიალოსანი*) მაგრათ უჭირავს.

მოხუცს სასხევე ცრემლები ღაზადღუპით წამოუვიდა. იგი ღრმად ჩაფიქრდა. რამდენჯერ მონატვრია სიმდიდრე, მაგრამ თავისთვის არა, მის ირგვლივ მცხოვრებნი სიმშვილით იხოცებოდნენ. მოხუცებულს უცებ სასხე გაუბრწყინდა, ის მოეხვია ბიქტორს და უთხრა:

*) უცხოეთში ქალები ლოცვის დროს კრიალოსანს ხმა-რობენ.

— ძვირფასო ბავშვო, შენმა წერილმა კიდევაც მის
 აღწია ღვთის მშობელს. წამიყვანე დედასთან.

საწვალ დედას აღარ გაუღვიძნია, საცოდავი სიმ-
 შილით მოძკვდარყო. აღმოჩნდა მსოფლიოთ, რომ დედა
 ბიეტორისა ღვთისნიერი ქალი ყოფილიყო და შვი-
 ლისთვისაც ჩაენერგა სიყვარული და სასოება ქრისტე
 ღმერთისა.


და ბიეტორს მამათ გაჴჩნდა ლამბერტი. მო-
 ხუცმა აღზარდა ბავშვი და მისცა შემეღების დავუარათ
 სწავლა-განათლება.

(თარგმანი)

როზალია სიდავასი.



სახალწლო



ქეთო და მელი.

მშვიდობით, ძველო წელო,
წადი მოუსავალში,
რომ მე აღარ ჩავარდე
სხვა ჭირსა და სხვა ვალში.
მობრძანდი, კვევდრები

გამარჯობა, ახალო,
შენც შარშანდელ წელივით
თავი ქვას არ ახალო!

აბა რაღას გეხვეწო,
და რაღას გეჩინო,
გადამიუვა სხვა კლასში,
იქ აღარ დამარჩინო.

გეფიცები დედ-მამას,
გეფიცები და-ძმასა,
მხოლოდ შენ გეუბნები
არ გაუტყდები სხვასა.

ჩურჩხელას აღარ შევჭამ
გინდ მეხვეწონ ღმერთები,
რადგან შარშან მივიდე
სწავლაში სულ ერთები.


— აბა, ღმერთს რადა სცოდავ,
 არა გრცხვენინან, ძელო,
 ძველმა წელმა რა გიეო,
 ცუდლუტო, საძაგელო!

განა ხელს ვინ გიძლიდა,
 რომ ერთ კლასში რჩებოდი?
 მუცელს ნუ აჭეუებოდი,
 ცოტას გაიჩეუებოდი.

კენტ ჩურჩხელას რო სწუევლი
 ხუთს შესჭამდი ერთადა,
 თუ მასწავლებლის თვალში
 ვახდებოდი ღმერთადა!

ახალ წელს რომ ატეუებ,
 განა ჭკუა მთვრალია,
 შენი დაქვეითება
 სიხარმადის ბრალია.

უ. მღვიმელი.



თვალთ-მაქცი ნაკვერჩხლები



(ზღაპარი)

რისტემობის თვის ცივი საღამოა, გარეთ ქარი ზუსუნებს, თოვს, ოთახში კი სითბო და მუდროებაა, ბუნარში ცუცხლი ნელდება, აქაიქ წითლათ ნაკვერჩხლები

ბჟუტავენ.

ბუსრის წინ სხედან ემაწვილები და თვალს არ ამორებენ ოდნავ მობრწყინავ ნაკვერჩხლებს. სიჩუქია. ემაწვილები მარტო არ არიან, მათ შორის აჩრდილი ვით ტრიალებს ძალადი, ნაცრის ფერი ქალი. მის დიდრონ თვალებს სრულებით უაზრო, საშიში გამოძეგველებს აქეთ. ორი დიდი შავი ფრთა ზურგზე უფრო უმატებს მას საშიშარ გამოძეგველებას. აგერ მივიდა ის უფროს ემაწვილთან, შეესო მას ხელით, ემაწვილმა დაიწყო მთქნარება და ნაღვლიანათ წამოიძახა:

— შენ კიდევ აქა ხარ, დაუზატყებელი სტუმარო, მოწვენის ფერიავ? როდის იქნება მოკვმორდე შენ?



ნაცრის ფერი ქალი ჰასუსს არც კი აძლევს უძალოდ წვილს, ის უახლოვდება ისეა თერთმეტი წლის ბიჭს და შავი ფრთით ესება იმ უძალო წვილის ხელს.

— წადი, წადი, ნუ ხარ ჩემს ახლოს, სამაგელო ფერია! გაჯახრებით უევირის უძალო. ფერია არ მორდება, ის უფრო ფართოთ შლის თავის ფრთებს.

— ოჰ, ნეტავი შეგვეძლოს ამ სამაგელი ფერიის განდევნა! მოგვაბეზრა თავი! ამბობენ უძალოები და თან ამთქნარებენ.

ფერიის ცქერით ამათ მილი ერევათ.

— განა, თქვენ გინდათ „მოწვენს“ ფერია განდევნოთ? ეს ძლიერ ადვილი საქმეა! გნებავთ ჩვენ დაგესმარებით! მოისმა ვერცხლისებრ წერიალა სმები ბუსრიდან. — დიად, ჩვენ განვდევნით ფერიას, თქვენ ოღონდ გვიბრძანეთ და ძალე, ძლიერ ძალე მოვიუვანოთ სისრულეში თქვენ სურვილს.

— გვსურს, ძალიან გვსურს! დაიუვირეს სისარულით უძალოები და მიანურეს ცნობის მოყვარეობით თვალები ბუსარს, საიდანაც მოისმოდა ეს უცნაური სმები.

წითელმა ნაკვერჩხლებმა შექმნეს ტკაცუნა, აენტენ, ვაბრწინდენ, შემდეგ უეცრათ ჩაქრენ... დახედეთ სასწაულს! ნაკვერჩხლების მაგივრათ ბუსარში გამოჩნდენ ჰაწაწინტელა, ნეკისტოლა კაცუნიები. მათ შორის იუვენ წვერ გაჭადარებული მოხუცნი, ჯან სადი ახალგაზრდები და მრავალი ბავშვები. ეველანი გა მოვიდენ ბუსრიდან, თითოეულს მათგანს ხელში ეჭირათ დაბეჭდილი ქაღალდის ფურცლები. ეველანს წინ



მოუძღვრდა სასე დანაოჭებული, სათვალეებიანი მოხუცი კაცი. მან გაუძვირა ემაწვილებს დახვეული ქაღალდი და ცანცანით უთხრა:

— ნება მომეცით, ჰატარებო, გაგეცნოთ, მე განლაგარ მოხუცი „მეცნიერება“. აბა ჩახედეთ ჩემს რვეულში, ძლიერ საუურადლებო მოთხრობებს წაიკითხავთ შორეულ ქვეყნებზე, იქ მცხოვრებ ხალხზე, უცხო ცხოველებზე და მცენარეებზე, იმაზე, თუ რა გვანვევია ჩვენ გარშენო, ბუნების დიდებულ საიდუმლოებაზე და ახალ-ახალ გამოკვლევა-გამოგონებაზე.

მერე ემაწვილების წინ წარსდგა წელში მოხრილი, ჯოხსე დაბჯენილი დედაბერი, მან მიართვა ემაწვილებს თავისი რვეული და უთხრა ხრისწიანი ხმით:

— მე ვარ თვით „ისტორია“, ჩემს რვეულში ინაოვნიტ ნამდვილ მოთხრობებს იმაზე, თუ რა იყო უხსოვარ დროში, რა ხდებოდა უფრო ახალ წარსულში და რა ხდება ეხლა ეველა სახელმწიფოებში, ხალხში და ეველა თემებში, რომელნიც კი დედა-მამის ზურგზე მოინაოვებინან.

ამ დედაბერის შემდეგ წამოდგა წინ ახალგაზრდა მშენიერი ქალი, შავ სუჭუჭ-თმაზე მოხვეული ჰქონდა და შავი მოსახვევი, რომელიც მის მშენიერ სახეს საიდუმლოების გამომეტყველებას აძლევდა. შავი თვალეები აზროვნებით ბრწინავდენ.

— მე განლაგარ „მოთხრობა“, წარმოსთქვა მან დაბალი ხმით, და შეძიძლია ბეგრი რამ გიამბოთ ადამიანის ცხოვრებაზე...



— მე კი „ხლანდარი“ ვარ, გაისმა ხარივით წერისა
ლა ხმა თმასუჭუჭა ქერა ბავშვისა, რომელიც წამოდ
გა წინ ჭრელ ტანისამოსში გამოწვობილი. ჩემ ქა
ლადის ფურცლებში ბევრი ახირებული და დაუჯე
რებული ამბები სწერია, მაგრამ დარწმუნებული კი ვარ,
რომ თქვენ დიდის სიამოვნებით მომისმენთ!

— მე ვარ „ზოფია“, გაისმა მშვენიერი სასიამო
ვნო ხმა და ემაწვილების წინ წარმოსდგა ასალ
გასრდა ქერა ქალი დაფიქრებული სახით, თვალები
ზეცისკენ მიეპრო. — მე მოგიტანეთ მშვენიერი ლექ
სების კრებული, იმედი მაქვს დიდხანს დაგატკობსთ
ამათი კითხვა.

— ჩემი სახელი კი არის „მოგზაური“, თქვა ხან
ში შესულმა ჰაწაწკინტელა მანდილოსანმა. — ამ რვე
ულში თქვენ წაიკითხავთ მრავალ შემთხვევებს ჩემი
მოგზაურობიდან — სად ვყოფილვარ, რა მინახავს; მი
ნახავს კი ბევრი, ძლიერ ბევრი რამ, ჩემო ჰატარე
ბო, აბა ერთი კარგათ მომისმინეთ და გაიხიარეთ
ჩემი სიხარული, მწუხარება და შიში.

— გზა მომეცით! ჩამომეცალეთ! მოისმა წერისა
ლა მხიარული ხმა და სიცილ ხარხარით წამოდგა წინ
ერთი ჰატარა ცელქი გოგონა. — ესლა მე მომეცით
ნება გაგეცნოთ, — მე ვარ გამართობი, ხუძარა. ხა! ხა!
ხა! რამდენს გაცინებთ, სულ ცრემლებს გადინებთ
სიცილით, იმდენ სახუმაროს გეტყვით, აბა გადაძა
ლეთ ჩემი რვეული? თქვა და გაუწოდა ემაწვილებს
რვეული.

ამის შემდეგ გამოხატენ ჭრელებში გამოწეობილნი ოთხი ბიჭუნები; ესები სტოდენ, იკრინებოდენ:

— მე გახლავარ „რებსა“! იმასოდა ერთი.

— მე „შარადა“ ვარ! ამბობდა მეორე.

— მე „ანდასა“! წრიპინებდა მესამე.

— მე „გამოცანა“! გაჭკიოდა მეოთხე.

მათ უკან გამოჰყევენ მთელი გროვა პატარა გოგობიჭებისა, ეველანი წვრილი სმით გაიძახოდენ:

— ჩვენ „სურათები“ ვართ, სურათები, ლამაზი, მშვენიერი სურათები. შემოგვხედეთ! ჩვენ ბევრს გასიამოვნებთ, აბა ჩაიხედეთ რამდენი ფერადი სურათებია ჩემ რეუულში! დასტებით რაღა ცქერით!

ეველა ეს უცნაური ხალხი შეფორთხდენ მაგიდაზე და დამწკვრივდენ ემაწვილების წინ.

— ვინა ხართ, თქვენ? საიდან გაჩნდით, ვინ გამოგვსაზნათ ჩვენ გასართობათ? შესძახეს ემაწვილებმა,

— ვინა ვართ? ნუ თუ ვერ მისჯდით! აბა დახედეთ ჩვენს თავებს და ამოიკითხეთ მისი სახელი, ვინც გამოგვსაზნა უსიამოვნო ფერის გასაძევებლათ.

კაცუნები დამწკვრივდენ, დახარეს თავები და აი საკვირველება! მათ თავებზე გამწკვრივდენ ასოები და ბავშვებმა გარკვევით წაიკითხეს:

„ჯეჯილი“.

იმავე წამს პატარა სტუმრები გაჭქრენ. ემაწვილებს სელში შერჩათ მრავალი დაბეჭდილი ქაღალდის ფურცლები. დაიწეეს ფურცვლა და შინჯვა. გავიდა ერთი ორი საათი, ემაწვილები ვერ შორდებოდენ ქაღალდის ფურცლებს.

— სად არის „მოწუენის“ ფერია? სად წავიდა? უეცრად იკითხა ვეველასზე ზატარა ბავშვმა, რომელსაც ნახსატებიდან თვალი ვერ მოეშორებინა.

— ძართლა, სად გაჭქრა? ერთბაშად შესძახეს ვეველამ.

ფერია აღარსადა სჩანდა. სადღაც, შორს, ქვედა სართულში მოისმა კარების ბრახუნი. ეტეობოდა სახლიდან ვიღაც გავიდა. ეს უთუოდ „მოწუენის“ ფერია იყო, გამეგებული თვალთ-მაქცი ნაკვერჩხლებისა გან კარბოდა სიცივეში და სიბნელებაში.

სშირათ ბევრს, ძლიერ ბევრს, სახლს ესტუმრება „მოწუენის“ ფერია. სშირად შედის ბავშვებთან ოჯახში, მაგრამ თვალთმაქცი ნაკვერჩხლები დიდათ ემტერებიან მათ, ესენი ერთათ ვერ თავსდებიან. როგორც კი თვალთმაქცი ნაკვერჩხლები ესტუმრებიან ემაწვილებს, მაშინვე „მოწუენის“ ფერია კუდ ამოშებული კარბის იქიდან.

იტა ნაკაშიძისა.



სიმდიდრის მაძიებელი

(აღმოსავლეთის თქმულება.)



ნდოეთის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი მკითხავე—ჯადოქარი. მისი სასულიერო განთქმული იყო მთელ ქვეყანაზე. ქვეყნის ოთხივე კუთხიდან ამ ჯადოქართან მოდიოდა აუარებელი ხალხი რჩევის საკითხავათ.

ერთხელ მასთან მივიდა ვინმე კაცი, «სიმდიდრის მაძიებელი». ამ კაცმა უამბო ჯადოქარს, რომ ის შორის ქვეყნიდან არის მოსული, მას გაგონილი აქვს მისი სასულიერო, როგორც შესანიშნავი ჯადოქარისა და სთხოვს მას რჩევას. ეს კაცი დიდი მოწადინე იყო სიმდიდრის შეძენისა და სთხოვდა ჯადოქარს გასამდიდრებელ წამალს.—ვიქნები მარად შენი მადიდებელიო,—ჰპირდებოდა ის ჯადოქარს,—ოღონდაც კი ისეთი წამალი მიშოვნე, რომ გამამდიდროსო. ჩემი წუთი-სოფელი ამის ძეგნაში გამიტარებია და ვერ მიშოვნიაო“.

მოისმინა რა ჯადოქარმა ამ უცნაური კაცის ნათქვამი, უთხრა:—შენი თხოვნის ასრულება შემძლებია, მხოლოდ რასაც გეტყვი უეჭველად უნდა აასრულოო“. ამასთანავე მან გადასცა უცნაურ კაცს რამე ფხვიერი წამალი და თან დააბარა, რომ ეს ფხვიერი



რისთვისაც უნდა მოეყარა, ეკელაფერი ოქროდ დაიქცეოდა. «მხოლოდ იმ ქაძს, როდესაც ამ წამალს იხმარებ, შენ სრულებით არ უნდა იფიქრო „თეთრი ირმებისეო“. ასე დაზავალა ჯადოქარმა. უცნაური კაცი დაჭმირდა ამ ჰირობის ასრულებას და განარებული გაუდგა გზას, რადგანაც მან იპოვა რასაც ეძებდა. გაშორდა თუ არა ქალაქის კალაფანს, მან მოაგროვა ქვის კენჭები და მოინდომა მათი ოქროთ გადაქცევა. ამ მიზნით ერთად დაქუჩებულ ქვის კენჭებს მან მოაფრქია ჯადოქრისაგან გამოტანებული ფსვიერი, მაგრამ ამავე დროს მას გაახსენდა თეთრი ირმები და ამნაირად საქმე გაუცუდდა. იმედი მანაც არ დაჭკარვა. მაშინვე გაუდგა ისევ გზას. „ცოტა გავსცდე, რომ ეს ფიქრი თავიდან მომშორდეს და მერე აჯობებსო“.

მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ რამდენჯერაც კი მოინდომა იმ წამლის ხმარება, ეოველთვის „თეთრი ირმები“ ახსენდებოდა და ამგვარათ იმედი უცრუვდებოდა. ბოლოს ისე შეუსისხლხორცდა „თეთრი ირმებისე“, ფიქრი, რომ შეუძლებელი გახდა მისი თავიდან აცილება. საბრალოდ მოსვენება დაჭკარვა, სიძდიდრის ადგილი ახლა მის თავში „თეთრმა ირმებმა“ დაიკავეს. მეტი რალა დაჩჩენოდა საწყალს და მიჭმართათ თხოვნით ისევ იმავე ჯადოქარს: ოლონდ „თეთრი ირმები“ მომაშორე და მუდამ შენი მადიდებელი ვიქნებიო!..

ს. ქელბაქიანი.

თოვლის ფერია



(ფრანგულიდან).

ს აძბავი, რომელსაც მე
თქვენ მოგიტნრობთ, ბავ-
შვებო, შეეძთხვა ერთ ჰა-
ტარა რვა წლის გოგონას,
კლოდინას. კლოდინა ძალი-
ან კეთილი, მხნე და მოხერ-
ხებული ბავშვი იყო, მაგრამ
ეველაფერს ადვილათ იჯე-
რებდა და ნათქვამი სწამდა.

იმის ჰასრით ფერიები არსებობდნენ და საშინელი
სურვილი ჰქონდა, რომელიმე იმათგანი ენახა, მე-
ტადრე თოვლის ფერია, რომელიც თურმე ვადმა
სოფელში დაიარებოდა და ვინც კი რასმე სთხოვდა
ეველას სურვილს უსრულებდა.

— რომ ვიცოდე სადა სცნოვრობს, წავიდოდი,
ფიქრობდა კლოდინა, ვსთხოვდი, რომ დედა ჩემი სი-
ღარბიდან დაეხსნა და ფული მიეცა.

ეველაზე უფრო ღარბი და შესაბრალისი ამ არე-
მარეზე კლოდინას დედა იყო. ქვრივი, უპატრონო,



მთელი დღეები მუშაობდა, მაგრამ ისე ცოტა გასაძირკველად აძლევდნენ, რომ ძლივს იოლად გამოდიოდა. ქვრივს ერთი ქონი და ჰატარა ბოსტანი ჭქონდა, საიდანაც შემოსდიოდა კარტოფილი და კომბოსტო. ეს კარტოფილი და კომბოსტო რომ ყოველთვის ჭქონდათ არა უშავდათ რა, მაგრამ ხშირად, როდესაც გამოეყოდათ მშვირები რჩებოდნენ.

ერთ დღეს კლოდინას დედა ავად გახდა და არ იცოდნენ საბრალოებმა რა ექნათ. მეწვრილმანისაგან რაც კი დასჭირდებოდათ ნისიათ ზიდავდნენ და ხანადისხან წამლებითვის ფულსაც სესხულობდნენ, ისე რომ ოთხ თუნამდის ვალი დაედოთ. აბა, საცოდავი დედაკაცი ამოდენა ვალს საიდან გადისდიდა?

მოვალე ჯერ ღმობიერად ეწურობოდა, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა, აწუხებდა და ემუქრებოდა. საწყალი ქვრივი სწუხდა, გმინავდა და სულ სტიროდა. კლოდინა დედის ცრემლებს რომ ხედავდა ფერიას ნახვის სურვილი უფრო უცხოვლდებოდა და შემთხვევას ეძებდა მის მოსაძებნათ.

ბავშვი გრძნობდა, რომ ფერიას მოძებნა ძალიან ძნელი და საშიში იყო და ამიტომ მის საძებნელათ წასვლას ვერ ბედავდა. ერთ კვირა დღეს, ქრისტეშობის შუა რიცხვებში, საშინელი თოვლი მოვიდა, გზები თეთრათ იყო დაფენილი. ამ თოვლს საშინელი ცივი და სუსხიანი ქარი მოჰყვა. ძალლი კარში არ გაიგდებოდა.

ერთ ამისთანა დღეში ქუჩაში უწვევების დამტარებელი გამოჩნდა, რომელსაც თავსე ეახლასი ესვია და



ფეხებზე ძაღალ ეელიანი ნაბდის თბილი წაღები ეცვა, ის მიადგა ქვრივის სახლს, კარები დაუკაკუნა და დაბეჭდილი ქაღალდი გადასცა. ქვრივმა ქაღალდი კანკალით გახსნა, თითონ კითხვა კარგათ არ იცოდა და კლოდინას შემწეობით შეძრევი ამოიკითხა: „თუ სამი დღის განმავლობაში ვალს არ გადახდით, სახლი და მთელი ავეჯი საჯაროთ გაიყიდებაო.“

— ესლას რაღა გვეშველება, საიღამ გადახდით ამ ვალს. ვეელაფურს გაგვიყიდინა და სახლიდანაც გაგვაგდებენ. რა უნდა ვქნათ? ზურგზე გუდა უნდა მოვიკიდოთ და შარა გზასე ვიძინოთ... ოჰ! ჩემო საუყვარელო, ერთად ერთი ნუგეშო, რა უბედურები ვართ! რა უნდა ვქნათ სახლიდან რომ გაგვაგდონ? გული მიკვდება, როდესაც წარმოვიდგენ თუ რამოდენა ტანჯვა და უბედურება მოგველის, შვილო...

დედა ბავშვს გულში იკრავდა და ტირიდა. ბავშვი ხმას არ იღებდა. ის თვალებ დასუჭული იყო და არ ინძრეოდა. დედას უკვირდა. მერე კლოდინა მიტრიალ-მოტრიალა ოთახში და გავიდა ბაღში ჩინჩხვრების შემოსატანათ.

როგორც კი დედა დასაძინებლათ შევიდა, ბავშვი წამოხტა, თავსე საჩქაროდ მატულის თბილი თავსაფარი მოიხვია, კარში გავარდა და სოფლის კარეთ გასწია.

— უთუოდ თოვლის ფერია უნდა ვიპოვნო, იმახორა ბავშვი — მარტო ის იქნება ჩვენი ერთადერთი მხსნელი.

ბავშვი ტელეგრაფის ბოძებს და მავთულებს კვალ-კვალ მისდევდა. მუხლებამდის თოვლში იფლებოდა,

ქარი თვალებში თოვლის ფიფქს აურიდა, გული სა-
 შინლად უცემდა, თითქოს აგერ-აგერ უნდა ამოუვარ-
 ლესო. ეშინოდა, სციოდა, თავბრუ ესვეოდა, მაგრამ
 შინც მიდიოდა. კარგა დიდი მანძილი რომ გაიარა,
 საშინელი სისუსტე იგრძნო, ისე დაიღალა, რომ ფე-
 სის გადადგმა ვეღარ მოახერხა, იქვე სვრელის ჰირ-
 'ზე ერთი დიდი ხე შენიშნა, მივიდა და ჩამოჯდა.

როგორც კი დაჯდა მარხილის სმაურობა მოესმა.
 მარხილში მშვენიერი ცხენი ება, შიკ ძალაღი ტანის
 ვაჟკაცი იჯდა და ჰირდაპირ ბავშვისკენ მიაჭენებდა. ეს
 იყო მდიდარი ვაჭარი მეფეკვილე ჟილბერი, ძალიან
 კეთილი, მაგრამ მოუსეშავი, მედიდური და ანირებუ-
 ლი კაცი. უველანი იცნობდნენ და ისიც უველანს
 იცნობდა. რასაკვირველია კლოდინაც იცნო. კლოდი-
 ნა რომ ამ ტრიალ-შინდროში სიცივეში მარტოთ
 მარტო დანახა, ძალიან გაუკვირდა, მარხილი ხეს-
 თან შეაუენა და სასტიკათ ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ, შენ ეი, ჰატარა სულელი?

— მე, ბატონო, თოვლის ფერისას დავეებ.

— გაგიუბულხარ?

— დიად, მეტის მწუნარებით.

— რა არის მიზეზი?

— ვალი გვაქვს, რომელსაც საწეალი დედა ვერ
 გადინდის. ოთხი თუძანი გემართებს და ამის გულის-
 თვის უველაფერი უნდა გაგვიყიდონ და სახლიდამ
 უნდა გამოგვარონ.— გაიგეთ? მე მინდა თოვლის
 ფერის ვიზოვნო და ვსთხოვო, ოთხი თუძანი მაჩუ-
 ქოს.



ვაჭარმა მხრები აიწია, რამდენჯერმე ჩაახველა, ცხვირი მოიფხანა და გაჯაფრებული უთხრა:

— გესმის... მე მინდა, რომ შენ ესლავე, ამ წუთშივე სახლში დაბრუნდე, საცაა დაღამდება. ამ სიცვიეში გაიუინები, ან მკვები შეგჭამენ.

ბოლოს მათრახით მიუთითა იმ სოფელზე, რომელიც მთას გადაღმა მოჩანდა და უთხრა:

— აი, მე იქ მელიან, საქმე მაქ და ერთ საათში ისევ უკან დავბრუნდები და ვაი შენ ტყავს, თუ ისევ აქ დამიხვდი.

სთქვა თუ არა, ცხენს მათრახი გადაჭკრა და წავიდა.

— დიაღ, რასაკვირველია, იფიქრა კლოდინამ, — მინამ შენ, ჩემო კეთილო ფერიავ, არა გნახამ მე სახლში არ დავბრუნდები.

წამოდგა, უნდოდა ისევ გზას გასდგომოდა, მაგრამ მუხლები აღარ ემოწინილებოდნენ, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და დაეცა, მერე ძლივს ფოფხა-ფოფხით ისევ ხესთან მივიდა. ძილი მოერია. კლოდინამ იცოდა, რომ ეინვაში გარეთ ძილი ძალიან საშიშოა და შეიძლება გაიუინოს. ის ძილს ებრძოდა, თვალებს აჭყეტდა, თავს ძალდა სწევდა, მაგრამ ამაო იყო. კისერი ველარ შეემაგრებინა, ქუთუთოები ღოღოვით დაუძძიდა და თვალებზე ჩამოეფარა, სოლო ბუტბუტით ვაიმახოდა.

— შენ მიშველე და დამიფარე, ჩემო კეთილო ფერია!

მაშინათვე მშვენიერმა ტკბილმა ხმამ უნახუნა:

„ჩემო ლამაზო, კლოდინა, აკერო ვარ“.

და ბრჭყვიალა თეთრ კაბაში მოართული ქალი გამომჩნდა, როგორც მთვარე ისე ანათებდა. თეთრი ნაქარგი ჩუსტებით დედა მიწასზე ჩამოეშვა და კლოდინას მიუანსლოვდა.

„შენა ხარ თოვლის ფერია?“.


„მე ვარ ფერია, ჩემო პატარა მეგობარო... გინდა ჩემ სასახლეში წაგიუვანო?“

— დიად, ქალბატონო.

ფერიამ ბავშვი ხელში აიუვანა და სწრაფად გაფრინდა. გარშემო ღრუბლები ეხვია, კაბა ისეთი გრძელი ჰქონდა, რომ დედა-მიწასზე, მინდვრებსზე, სასაწყობის სასურავებსზე და სამრეკლოებსზე ეფინებოდა. ესენი ელვასავით მიჰქროლავენ. ბოლოს შავ ღრუბლებში გამონათლდა მისი სასახლე. კედლები უინულისა იყო და ვერცხლის ძაფებივით უინული იყო ჩამოკიდებული. იატაკი რბილი თოვლით დაფენილი იყო და ფესები შიგ რბილათ იფლებოდა. ოთხი დიდი სარკმელი ჰქონდა მშვენივრად გამოქანდაკებული. ეს დიდებული სასახლე იყო, მაგრამ ძალიან ციოდა.

— აი, ეს არის ჩემი სასახლე. მე აქ ვცხოვრობ. ზემოთ, ლიფთიფებივით რომ ბრჭყვინავს, ჩრდილოეთის ვარსკვლავია. ეს სინათლე, რომელიც ჩემ სარკმელებს ანათებს, ჩრდილოეთის რიჟრაჟია. ეს თოვლი, რომელსედაც შენ დადინარ, ჯერ არავის არ დაუთელია.

ბავშვი თვალებს აჭყეტდა და ამ დიდებულ სურათს სარბათ შესცქეროდა.



ბოლოს ჰაეროვანმა ქალმა ჰკითხა:

— გმიან, ჩემო ლამაზო?... რა მოგარტყა?.. ეინული თოვლის გუნდები?

— ძადლობელი განლაგარ, არა მშიან.

— ითამაშე გაერთე: თოვლის ბერიკები გააკეთე, ან, აი ამ იატაკზე ისრიალე.

— მე თამაშობის გუნებაზე არა ვარ... ძალიან შეწუხებული, ვარ იმის გამო, რომ...

— ჰო, ჰო, ვიცო... აი დაიჭი ფული, დედა შენს რომ ესაჭიროება. მე, შენ გულისაფარის ჯიბეში ჩავიდებ. ესლა, ჩემო ზატარავ, რა გსურს კიდევ?

— სასლში წაძიევიანე.

— ეგ ძალიან ადვილია.

კლოდინა კიდევ ჰაერში მოჭფრინავს, ერთ თვალის დასამხამებაზე გადაიფრინა მან ოკეანები, ზღვები, ველ-მინდვრები და ბოლოს თავის სოფლის ეკლესიის სამრეკლო დაინახა.

ბუსრის საბოლავიდან კლოდინა თავის სასლში გაჩნდა.

— ჩაწეკი შენ ლოკინში, უთხრა ფერიამ, — მშვიდობით.

სწორედ ამ დროს ბავშვმა თვალები გახილა, ცხელოდა, თბილ ლოკინში იწვა და თავით სანთელი ენთო.

— ოჰ! ჩემო საყვარელო, რა საშინელი ძწუსარება და ტანჯვა მომაყენე. ჩემ დაუკითხავათ სად წახვედი? სად იყავი? საიდან მოხვედი? მე შენ გამწარებული გკმებდი, ნეტაი თუ ვინ მოგიყვანა სასლში მძინარე.

— მე თოვლის ფერიაშ ციღამ ჩამომანფრინა.

— გეუოფა, ჩემო საუვარელო, ბოდვა.

— არა, მე სრულებით არა ვბოდვა. მე ფერის ისე ვნახე, როგორც ესლა შენ გხედავ და ისე ველაპარაკებოდი, როგორც შენ. იმან თავის სსსსსლეში შემიყვანა და რომ ეს მართალია...

— კარგი, შვილო, დაძვიდდი, კონხე შოდი.

— ნახავ შენ თუითონ. მე იმან ფული მომცა, ვალი უნდა გადავიხადოთ. არა გჯერა?

— ჩემო, ჰატარა სულელო!

— მამ კარგი. აბა, ჩემი ჯიბე გაშინჯე!

დედამ ბავშვის დასამშვიდებლათ ჯიბეში ხელი ჩაჭყო და უცბად გაცდა, რომ ეს მართალი გამოდგა. ჯიბეში რაღაცამ დაიხსრიალა და სუთი ოქროს სულ თუმნიანები გადმოსცვივდა.

მეორე დღესვე მეწვრილმანის ვალი გაისტუმრეს და არამც თუ ქონი არ გაეყიდათ—უოკელ დღე ფულმა დენა დაიწყო. დღეში ორ მანეთს შოულობდნენ. არ იკითხავთ საიდან? მეუქვილე ვაჭარმა, ჟილბერმა, რომელიც კლოდინას გხაზე დახვდა, საწყალი ქვრივი თავის სამხარეულოს ხედამხედველათ აიყვანა, იმან ორმოცდა ათ მუშაზე მეტი ჰქავდა და ვეელანი იმათთან იკვებებოდნენ, კლოდინას დედა ეურს უკდებდა ვეელაფერს და კლოდინა კი სასწავლებელში დაიარებოდა.

როცა ეს ვაჭარი შესვდებოდა ბავშვს ჰკითხავდა:

— კიდევ გჯერა, რომ ფერია არის, მე ტუტუცო?

— დიაღ, რასაკვირველია, უნასუხებდა ხოლმე კლოდინა.



ჟილბერი იცინოდა და რომ ვისმეს სიცილის ძი-
ზესი ეკითხათ არავის არ ეტეოდა.

აი საქმე რაში იყო: როდესაც ჟილბერმა საქმე-
ბი გაათავა, უკან დაბრუნდა და მძინარე კლოდინა
სახლში წამოიყვანა და გულსაფარის ჯიბეშიც ფული
ჩაუდვა, რაც შეესება ცაში ფრენას, სასახლის და
ვარსკვლავების ნახვას, ეველა ეს კლოდინას დაე-
სიზმრა.

ეკ. მესხი.



რათ შუის ნიჟარა!



ველის ძველათ ნათქვამია, რომ სულ ღრმა ზღვის ფსკერზე ათას ფეროვან ბაღში, სადაც მარჯნის ბუჩქები და თვალსაქებო მცენარეებია, — დგას ბროლის თვალ-მოძტაცის სასახლე ზღვის ძფლობელისა, ღმერთი ნეპტუნისა.

მშენიერი ვერცხლოვანი ნიჟარები ამკობდენ სასახლეს. ამ სასახლის ჭერი და თაღები ბროლისა იყო და შემოდან ჩამოშვებული ჭქონდა უზარმაზარი ჭაღები.

ამ ზღაპრულ სასახლეში ცხოვრობდა ნეპტუნი და მას გარშემო ეხვიენ წულის ფერიები. ესენი ღმერთს ნეპტუნს ემსახურებოდენ: საჭმელ-სასმელს მიაართმევდენ, მის წინ ცეკვამდენ და უგალობდენ მის სასიამოვნო სმებს.

ერთხელ, ერთ ჰატარა ფერიამ მოინდომა მორთვა-მოკახმვა და დაუფიქრებელი ჩამოსსნა კედლიდან ერთი ლამაზი ნიჟარა. მან არ იცოდა, რომ ნეპტუნი ამ ნიჟარებს შეტრფოდა.

ნეპტუნმა ძალე შენიშნა დანაკარგი, განრისხდა და მოიხმო ვეკლა ფერიები.

— ვაძიგონეთ, ერთმა თქვენგანმა მომპარა ძვირ-

ფასი ნივთი. ვინც დაძნაძავე გამოდგება, უნდა ახლავე გავაძეო ჩემი სამფლობელოდან!

მაშინ წამოდგა ერთი ახალგაზრდა, ულამაზესი ფერია და ქვითინით დაემხო ნეპტუნის წინ.

— შოილე მოწყალება, მანათიე. არ ვიცოდი, რომ ეს ნიჟარები თქვენთვის ასე ძვირფასი უოფილა, რა ვქნა, მეც ძალიან მიუვარს!

ნეპტუნმა რა გაიგო ეს სიტყვები გული მოუღება, შეიბრალა ლამაზი და უთხრა:

— ძალიან შებრალები, მაგრამ ჩემს ნათქვამს არ გადუდგები, ჩემი სამფლობელო მაინც უნდა მიატოვო. მაგრამ რადგან აგრე გუვარებია ნიჟარები, რომ ჩემ დაუკითხავათ წავიღია — დაიტოვე შენ. რამდენჯერაც შესედავ მაგას, მოიგონებ შენ მხიარულ ამსახარებებს და გეგონება, რომ მათ შორის იმყოფები.

აქვითინდა ფერია, მაგრამ რას გააწყობდა. გამოესალმა ზღვის მრისხანე მფლობელს და თავის დაიხებს. წასვლის წინეთ ერთი კიდევ შედგა და ცრემლებ მორეულმა თქვა:

— ოჰ, ზღვათა მბრძანებელი! გთხოვთ ერთი სათხოვარი ამისრულოთ. მომეცით რამე სასსოფრათ იმ ბედნიერი დღეებისა, რომელნიც მე გავატარე თქვენ სასახლეში. მომეცით ისეთი რამე, რომ მოვიგონო ხოლმე ზღვის შუილი. ზღვა საშინლად მიუვარს და მაშინ ჩემი მოშორება ასე მწარე აღარ იქნება.

— მოიტა ერთი ეგ ნიჟარს, უთხრა ნეპტუნმა. გამოართვა ნიჟარს და ჩასძახა:

— მოჭევევი ზღვასავით შუილს და შენი შუილით
მოაგონე ამას ხოლმე ჩემი საძეფო!


ამის შემდეგ ნებატუნმა დაუბრუნა ფერისას ნიჟარა
და ისიც სძა ამოუღებელივ განშორდა.

ფერია გადაიქცა ჭაეროვან სულათ და აღარ დაბ-
რუნებულა ზღვაში. იგი ღამღამეობით, თეთრ სამო-
სელში გახვეული მთვარის ვერცხლოვანი სინათლით
გაბრწყინებული ბაღსა და ტყეს დაჭფრენდა.

მას აქეთია ნიჟარას გააქვს შუილი, ვისაც არ
გაუგია არასოდეს ზღვის შუილი, დეე მიადოს უური
ნიჟარას და გაიგებს.

(თარგმანი)

ტახოხი





შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მ. ჯეჯეშვილისაგან)

პირველი ღრმაა, ორმოა,
მასში ყოველთვის ჩრდილია,
ზამთარში გვაძლევს მოთბო წყალს,
მხოლოდ ზაფხულში გრილია.
მეორე არის—ეკალი,
ნემსებიცა აქვს წვრილია,
მთლად მოწითალო თევზია,
საქმელად მეტად ტკბილია.

ზ მ ა.

(მისგანვე წარმოდგენილი).

ლეღვი ნოდარმა მაქამა,
ბაღე კი გამოძღებოა,
სულ იბღინძება სულელი,
როდესაც ახირდებოა.

ნიკო და კედელი.

პატარა ნიკო მივიდა,
კედელს დაუწყო ფხაჭუნი..
ისედაც თავის ტოლებთან
ზუყვარდა ხოლმე ბღლოძუნი.

კედელმა უთხრა:—გაიწი
ცოტათი, გამეცალეო,



მე ვერ დამაქცევ, პატარავ,
გაფრთხილდი, გენაცვალეო!“

ნიკონს მიუგო: — „წერაქვით,
ძირიდან გიწყობ თხრასაო!“

კელელმა გადიხარხარა:

— „აბა რას ამბობ რასაო?!

ძირს, რომ გამითხრი, საბრალოვ,
მეც ხომ ზედ დაგაწვებით
და მაშინ შენი ცოდვითა,
სწორეთ, რომ დავიწვებით!“..

მ. ლელაშვილი.

რ ე ბ უ ს ი .

(წარმოდგენილი გ. ჯუღანიძის მიერ)



ს



რ



, ი რ

რ



,

ს



„

ს



,



ს
ი



გამოცანები: № 10 — სიმინდი. წისკვილი, № 11 — წებო,
ახსნა თამრიკო სააკოვმა და საჩუქარი წიგნი გაეგზავნა.
ზმა: წარი, ზეწარი, ნანა, ერისთავი, იესო.



ქობის ღამე

(გადმოკუთებული)

I.



ამით ციდან ჩამოეშო
ანგელოზთა დასი წყნარი,
ვარსკვლავთ გუნდი თანა სდევდა
მოციმციმე და ნარნარი.
ერთი თეთრი ანგელოზი
წინ წამოდგა მოწიწებით,
მშვიდი თვალი გაუბრწყინდა
სამქვეყნო ნეტარებით,
ზე ასწია ბზის მწვანე რტო
და სთქვა: მიწას მოვედლოთო,
დადგა წამი დიდებული
და ქვეყანას ვაუწყოთო.
ანგელოზნი გაეშურნენ
ქვეყნის ოთხივ კუთხისკენა:
ჩრდილო-სამხრეთ-დასავლისკენ
და აღმოსავლეთისკენა.

II.

სთვლემდა ტყე-ველს თეთრ საბანში,
სთვლემდა თოვლ-ქვეშ ჩრდილოეთსა,
დათვს ეძინა თავის ხვრელში,
შეჰხიზნოდა თბილ ქვეშკნეთსა.



მხოლოდ მსუნაგ მგელთა ხროვა
 თარეშობდა მწირ არეში
 და გულფრთხილი კურდღელიცა
 დაქენობდა მდუმარ ტყეში.
 თვითონ ადამიანიცა
 სთვლემდა თბილად ბუხართანა
 და ქვეყანას დაშორებულს
 გულს უთბობდა ბუხრის ნანა.
 ამ დროს ღვთიურ წმიდა ჰიმნით



ანგელოზთა გადიარეს
 და სიცოცხლე აგრძნობინეს
 მიყუჩებულ არე-მარეს.
 შეკრთა მხეცთა მაყრიონი,
 იგრძნო ძალა უცნაური
 და მოესმათ: „ამ ქვეყანას
 გაანათლებს მზე ღვთიური“.

III.

გვალვიანი სამხრეთია,
 ბადრი მთვარე სხივებს აფრქვევს
 და უდაბნოს, ყვითელ ქვიშნარს,
 ავგირისტებს, ალაშაზებს.

გულზვიადი, ღრმა მდინარე
 მიაგორებს ვერცხლის ტალღებს
 და გარშემო ღერწამთა ტყე
 მშვიდათ სუნთქავს ბურუს-ჯანღებს.

ლომი დადის საშოვარზე,
 ტყის გულში კი სძინავს სპილოს,
 გველი ხეზე ახვეულა,
 გადაჰყურებს მღელავ ნილოსს.
 ადამის ხმა არც აქ ისმის,
 ზღვის პირად სთვლემს ქალაქებსა,
 უსიცოცხლო მღუმარება
 დასცემია დარბაზებსა.
 მაგრამ აქაც შემოიჭრა
 ანგელოზთა ჰიმნი ტკბილი,
 ტყემ პასუხი გაუგზავნა,
 ტყემ ასმინა მოძახილი.
 და გალობდნენ საგალობელს:
 „ვაშა ღმერთს და დიდებო,
 ქეშმარიტი სიყვარული
 მიწას მოეფლინებო“.
 და გაჰფრინეს აღმოსავლეთს
 კვლავ ღვთიური გალობითა,
 იქ ვარსკვლავი დიდებული
 უხვად ჰფენდა სხივებს ცითა.

IV.

გაემართნენ, გადიარეს
 მუნჯი სივრცე წყვდიადისა
 და მივიდნენ უცხო მხარეს
 მახარობლად დიდებისა.
 ცა ლურჯია და კამკამა
 საოცნებო ამ ქვეყნისა,
 აქ დაფრინავს სინარნარე,
 სუნნელება საკმელისა.
 მადლიანი ჰვეყანაა,
 სიტურფე აქვს სამოთხისა
 მშვიდსა ზღვაში მოსჩანს სახე
 მთებისა და ლერწმის ტყისა.
 უცბად შუქი გაღმოვიდა
 ამა ქვეყნად წმიდა ღვთისა



და სხივებით მოიქარვა
 ქვეყანა და სიერცე ზღვისა.
 თან მოისმა ტკბილი ჰიმნი,

არ სმენილი, ჰანგი ცისა:
 „იხარებდეთ, ტვირთ-მძიმენო,
 და იწამეთ ჩვენი თქმული:
 მოვა ქვეყნათ, ქეშმარიტი
 სიმართლე და სიყვარული“.
 ასტყდა ყველგან ფაცი-ფუცი,
 აჩოჩქოლდა მთა და ბარი.
 ყველამ ცისკენ აღაღლინა
 თველი მკრთალი და მგზნებარი.
 გააღვიძეს ეს ქვეყანაც
 და გაეკვრნენ შორის სიერცეს;
 იქ გასწიეს, საც ვარსკვლავი
 საკვირველი ჰფენდა სხივებს.

V.

ზღვისა პირად სთვლემენ ტკბილათ.
 მრავალ-ფერი ქალაქები,
 მაგრამ მათში ერთი არის
 საამური და საქები.

მას ამშვენებს ცირკ-ტაძრები,
 მარმარილოს პალატები,
 მოედნებზე ქანდაკები
 და ბრწყინვალე დარბაზები.
 ეს ტახტია დედამიწის,
 მას მორჩილებს სხვა ქვეყნები.
 და მგალობელ ანგელოზთაც

გაიმართეს მისკენ ფრთები.
 მოფრინავენ უცხო ქვეყნით,
 გადმოჰფრინეს თეთრი მთები
 და მოვიდნენ იმა ქვეყნათ,
 საც შლილობენ ყვაფილები.
 თან გალობენ საგალობელს:
 მზე ამოდის, თენდებაო

და ქვეყანას, მრავალტანჯულს,
 ნეტარი ღღე უღვებაო.
 მაგრამ ამ ხმებს ისმენს მხოლოდ
 მთა-მინდორი ყვაფილნარი
 და ქალაქი ძველის ძველი,
 საუკუნო ტახტათ მდგარი.
 კაცი კი ჯერ ხმას არ იღებს
 ანგელოზთა გალობაზე,
 ანგელოზნიც იქით ჰფრენენ,
 საც ვარსკვლავი მნათობს ცაზე.
 ის ვარსკვლავი აღმოსავლის
 ერთსა ქალაქს ევლებოდა,
 ანგელოზთა წმიდა დასიც
 სულ იქითკენ ეღვზნებოდა.
 იქ შექუჩდნენ ყველა კუთხით,
 იყვნენ დიდსა სიხარულში:—
 თურმე კაცთა თანაგრძობა
 იქ აღმოჩნდა, მწყემსთა გულში.

ი. მჭედლოშვილი.



ბრძოლის მოლოდინში

(ბაღვანეთის ომის გამე)




ურუსიანი, თბილი, უინჟლიანი შე-
მოდგომის საღამოა. ბადრი მთვარე, ღრუ-
ბლებით შებურვილი, ოღნავ ანათებს
ხრიოკ არე-მარეს და გარშემო გამეფებულ
სევდას უფრო ასევდიანებს.

ბოლგარიის ერთ პატარა ქალაქის პა-
ტარა ეკლესიაში, ღვთის, მშობლის ხატის
წინ, ათასი წმ. სანთელი ბღღვრიალებს და
ცხოვლად ანათებს ცრემლებით დამწვარ
თვალეებს, სასოებით აპყრობილს აუარებე-
ლის მლოცველებისას, რომელთა მომე-

ტებული ნაწილი დედები არიან იმ მეომართა, რომელნიც
დღეს იბრძვიან ლიულე-ბუფასთან.

— ოხ, დედაო ღვთისაო, დედაო ჯვარცმულის ქრის-
ტესაო, თვით გულ გაგმირულო მშობელო, შეიწყნარე ვედრე-
ბა უბედურის დედისა და ააცდინე ჩემ პირმშოს, ჩემს ერთად
ერთს იმედს და სიხარულს, ჩემს მშვენიერ დანიელს მტრის
ტყვიან! დამიბრუნე უვნებლად ბრძოლის ველიდამ, ღვთის მშო-
ბელო, ყოვლად წმიდავ და ნუგეშო უბედურთავ, ნუ გამწი-
რავ! ხელეზ აპყრობილი, სასოწარკვეთილებით სავსე თვალე-
ბით ევედრება დანიელის დედა ხელსავე აპყრობილს და სათ-
ნოებით სავსე მაცხოვრის მშობლის ხატს.

— ნუ, ნუ დამიგლეჯ გულ-მკერდს შვილის გაგმირუ-
ლის მკერდის დანახვით, ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ



დამიბრუნე, დამიბრუნე უვნებლად ჩემი ვაჟკაცი, მშობლის
სიამაყე, ჩემი ქვეყნის სიმშვენიერე, ჩემი ნიჭით აღსავსე მეო-
სანი! გაჰყმუის მეორე დედა და სიმწარით თრთის და კბილებს
აკრაქუნებს... და კიდევ მრავალნი პირქვე დამხოვილნი დე-
დანი ასველებენ მღვლარებით ღვთისმშობლის წინ ცივი ქვით
დაფენილ იატაკს.



იქვე კედელს მიჰყრდნობია სამოცი წლის მოხუცი, მთლად
გაქადარებული, შავათ მოსილი მარკო, გულზე ხელებ დაკ-
რფეილი და თვალები ეკლესიის გუმბათზედ გამოხატულ ყოვ-
ლად მჰყრობლისთვის მიუპყრია. სანთლის მოციმციმე შუქი
მკაფიოთ ანათებს ამის დადარულ სახეს და მაზედ ნაგალ
ცრემლთა წრეებს. მარკო არ შესთხოვს ყოვლად მჰყრობელს
ბრძოლიდან შეიღების უვნებლათ დაბრუნებას, არა, არ შეს-
თხოვს იმიტომ, რომ იმისი ორი შეილი, იმისი ორთავ თვა-
ლის ჩინი და სიბერის ბერკეტნი კირკ-კილისსეს აღების დროს
დაიხოცნენ, სამშობლოს ბედნიერებას და მოძმეთა განთავი-
სუფლებას შესწირეს თავიანთი სივაჟაკე და ლომგული.


არა, მარკო არ შესთხოვს ყოვლად მკურობელს შვილების დაბრუნებას, მარკომ დაბეჯითებით იცის იმათი თავგადასავალი. მარკომ თავისი თვალთ ნახა იმათი შრანგელით დაფლეთილი გვამები; მარკო მებრძოლ რაზმებს ფეხდაფეხ მისდევდა და გულის კვნესით დარაჯობდა საყვარლების სიცოცხლეს, მაგრამ ამის ლოცვამ და დარაჯობამ ვერ გადაარჩინა განწირულნი და სხვებთან ერთად მარკომ თავის ხელით ჩაასვენა საერთო-საძმო საფლავში იმათი გვამები.

მაშ რა აქვს ამ მოხუცს, დავრდომილს, გულ მოკლულ ადამიანს ქვეყანაზედ სანუგეშო, სასიცოცხლო? რატო შვილებთან ერთად არ ჩავარდა საძმო საფლავში, რას ელის ეხლა ამ უნუგეშოთა სასოების ნავთ-საყუდელში?

მარკო ცოცხლობს, ცას შეჰყურებს და მოთმინებით მოელის იმ ბედნიერ დღეს თავისის სამშობლოს გამარჯვებისას, როდესაც პირადი გრძობა, კერძო სიყვარული უნდა ჩამოდგეს და საზოგადო, საეროვნო გაბრწყინების გზას დაუთმოს. დიად, მარკო არ ლოცულობს თავის შვილებისთვის, ის ოცნებობს და მოელის, რომ ის დიდი მსხვერპლი, რომელიც ბოლშევიკებმა შესწირა სიმართლის აღდგენას, რომელიც



ბრძოლის ველი.



ყოველმა ბოლგარიელმა და მათთან ერთად მარკომაც, საეროვნო სამსხვერპლოზე მიიტანა, უთუოდ დაჯილდოვდება, ნაყოფს გამოიღებს და თუ დღეს ყოველი ოჯახი ბოლგარიაში დაკოდილია, გულ მკვდარი, შავით და ძაძით მოსილი, ხვალ მთელი ბოლგარია განათლდება, გაბრძყინდება! ძველს სახელს და დიდებას მოიპოვებს და ბებერ მარკოს დაღარულს, ცრემლების ნაკადით ამომწვარ პირი სახეზედ ნათელი ღიმილი ეფინება. პირადი გულის ტკივილი, ეროვნულის ძლიერა-მოსილობით უამდება, უქარწყლდება.

„ძმობილო, ძმობილო! მოგვეშველე! გაისმა ეკლესიის ცადაქნილ კედლებ შუა და ზარდამცემი ხმა გაიღო.

მარკოს მალლა ფრენა შესწყდა. საყდარში ბრძოლის ველიდან საკაცეებით დაჭრილებს მოასვენებდნენ და ისმოდა საშინელი კვნესა და კბილთა ღრჭენა დაკოდილთა.

— მშობელო... მშობელო... რად მშობე, რად მშობე... ე...ე! გმინავდა თავდამსხვრეული, თვალგამოთხრილი მხედარი, რომლის ტკივილები ყოველ საკაცის განძრევასზედ ჯოჯოხეთურის ძლიერებით აღიზიანებენ იმის კრილობას.





— მომკალით... დამბაჩა დამახალეთ და ბოლო მოუღეთ ჩემს წამებას... ჰგოდებს, იხვეწება მეორე დაკოდილი.

— წყალი მასვით, წყალი! ცეცხლი, ცეცხლი მეკიდება გულ-გვამში! ოდნავ კნაოდა მესამე.

ეკლესიაში მყოფთ დედებს ახლად მოსულნი მშობლები, და პატრონნი შეუერთდენ და მათი წიოკობა და ვაგლახი, დაკოდილთა კვნესასთან შეერთებული, კაცის წარმოდგენას აღემატებოდა... მარკოც შედრკა, შეირყა, შეწრწუნდა და თვალეზზეა ხელი მიიფარა... მაგრამ ისევ მალე გამოიჩვეა.

სახქაროთ, ყმაწვილი კაცის სიმარდით, მხარი შეუდგა საკაცეს, ციმციმ ასწია და სასოებით და თაყვანისცემით კაცთა ტანჯვისადმი, ზეცას თვალეზი მიაპყრო. „აჰ, უფალო, უფალო! დიდ არს სახელი შენი... და უზომო განსაცდელი ჩენი!..“

მერე საკაცის წინ დაიჩოქა და მთოლვარე ხელით დაჭრილს შუბლიდან ცივი ოფლი გადასწმინდა.— გამაგრდი, შვილო, გამაგრდი! დასძლიე ტკივილი! გესმის, გარშემო გამარჯვების ხმა ისმის?! მადლიერი ქვეყანა გაგკურნის, გმირის სახელი მკვდრეთით აღგადგენს! გაუმარჯოს ბოლგარის! გაუმარჯოს ბოლგარის ძლევა მოსილ მხედრობას.

ეკლესიის ცადაქნილმა კვლავ მძლავრად გაიხმაურა და ბებერი მარკოს შემოძახილი გაიმეორა და აქ მყოფთა ტკივილი და სასოწარკვეთილება თითქო შეუყუჩა, მომავლისკენ გადაახელდა.

უეჭველია, ეცოდინებათ ჩემ მკითხველებს, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ მთელი ოკტომბრის თვის განმავლობაში საშინელი ომი იყო გაჩაღებული! ერთის მხრით იბრძოდნენ ბალკანეთის ოთხი პატარა სახელმწიფო შეერთებული ჯარით და მეორეს მხრით ოსმალეთი.

1445 წელს პატარა აზიიდან შეესია ევროპას მძლავრი ბარბაროსი ერი, ოსმალო და დაიპყრა ბალკანეთის კუნძულზედ გამეფებული რამდენიმე პატარა სახელმწიფო: ბოლგარია, სერბია, ჩერნოგორია, საბერძნეთი და კიდევ მრავალი სხვები. ამ ხნის განმავლობაში ზოგი ამ პატარა სახელმწიფოთაგანი განთავისუფლდა ოსმალოთ მპყრობლებიდან და კვლავ აღადგინა

თავისი დაკარგული სამეფო გვირგვინი, მაგრამ ვინც დარჩნენ ოსმალთა მპყრობელობის ქვეშ, მაგალითად, ალბანელნი, სომხები განიცდიდნენ ისეთ საშინელ დევნას და უსამართლობას, რომ განთავისუფლებულმა მოძმეებმა ხელი გაუწვიდნენ ამათ დასახსნელათ. და როდესაც ოსმალეთი დავრდომილი და უსუსტებული დაინახეს იტალიასთან ბრძოლაში, იდროვეს დრო და თავს დევსნენ. ოთხ-კუთხივ მიესია მტერი ოსმალეთს და საშინელის სისწრაფით შეიჭრა იმის სამფლობელოში. მანამ ოსმალნი შეემზადებოდნენ, პატარა სახემწიფოთა მებრძოლნი, შეერთებულის ძალით, უკვე ოსმალეთის სატახტო ქალაქს კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ და აქ საშინელ, თითქმის




ჩასაფრებული ოსმალები.

გაუვალ ციხე-სიმაგრე ჩატალჯასთან უკანასკნელი სიკვდილსასიცოცხლო ბრძოლა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ორთავნი შეკრთნენ და შედგნენ საშინელ სისხლის ღვრის წინ და შერიგებაზედ ჩამოაგდეს ლაპარაკი. მორიგება მტერთა შუა, თავს იდო ინგლისმა და დღეს ინგლისის სატახტო ქალაქ ლონდონში საუბრობენ შერიგების პირობებზედ. შეიძლება ვერ შეთანხმდნენ და საშინელი, მომაკვდინებელი ომი ისევ გაგრძელდეს.

* ერთი თვის განმავლობაში ორმა მებრძოლმა მხარემ აუარებელი მემომარნი დაჰკარგა. მარტო ბოლგარიამ ასიათას კა-

ცამდე. ამბობენ, ჯარი რომ შემოაკლდა, ბოლგარიამ-საომრად გაიყვანა მოხუცებულნი და მოსწავლე ახალგაზდობაო. ერთი ბოლგარელი სწერს თავის დღიურში: „მომზადებული საფანტოფოები, რომ არ ეყოთ აუარებელ დაქრილთა და დასახიჩრებულთა დასაწვენათ, კორპუსის დიდი შენობა დაუცალესო, თვით საბალო დარბაზი, მდიდრულათ მორთული, დიდის სარკეებით და ძვირფასის მებელით გაწყობილი, გააღეს და პირდაპირ იატაკებზედ დააწყეს დაქრილნიო“. აგრეთვე კერძო სახლებში და ეკლესიებშიაც კი შეჭკონდათ დაქრილნი და იქ უბრალო დედაკაცები უხვევდნენ ქრილობას და ავამყოფებს ჰპატრონობდნენო. ღმერთმა ააცდინოს ქვეყანას კვლავ ომის განახლება! ეს საშინელი და გაუსწორებელი დანაშაული იქნება ადამიანთაგან. რამდენიმე სახემწიფო დაიქცევა, დაიღუპება, თან მოჰყვება გალარიბება-გალატაკება და რაც უფრო უარესია, ჭირი და ხოლერა, რომელნიც გაანადგურებენ ყველას, ვინც კი ომს გადურჩა და შეიძლება ომს გარეშე დარჩენილ ქვეყნებსაც მოედოს და ომის შედეგმა ომზედ უარესი შედეგი იქონიოს.

ეკ. ვაბაშვილისა.



ბიძიას ნაამბობი.

(ბავშვების ცხოვრებიდან).

მწერლის მიერ დატოვებული ბარათი

(დასასრული).



ბაღ და ნიშნულ ადგილას მივედით... მოძღვა-
რი ისე სასოებით უკითხავდა დავითს, რომ
ჩვენი იქ მისვლა ვერც კი შეიტყო... ჩემი
ძმა მივიდა მცხედართან, დაიჩოქა მის წი-
ნაზე და რამდენიმე წუთი იმყოფებოდა ამ
მდგომარეობაში... მერე ადგა თვალ-ცრემ-
ლიანი, მღვდელს ჩუმათ სალამი მისცა და ისევ წამოვიდა
ხალხისკენ, მღვდელიც მალე მოვიდა ჩვენთან, ჩემი ძმა გა-
დაკოცნა, ვამოიღო უბიდან წერილი და გადასცა იასონს
ხმა-მალლა წასაკითხავათ. ჩემმა ძმამ თვალებიდან ცრემლები
მოიწმინდა და დაიწყო წერილის კითხვა:

„ძვირფასო მოძღვარო, მამაო თევდორე! ვიცი ეს ბარა-
თი გაგაოცებს, გაგაკვირვებს, დაგალონებს და აგაღელვებს კი-
დეც, მაგრამ მაინცა გწერ, რადგანაც მსურს, რომ უკანასკ-
ნელათ მაინც ერთი კარგი საქმე ჩავიდინო და ამითი მაინც
შეგება მივცე ჩემს ჯოჯოხეთ სულს, ჩემს გავრანებულ გულსა...
მე აქ ჩემი ცოდვების ჩამოთვლით არ შეგაწუხებ, მოძღვარო,
რადგანაც იგი მეტის მეტათ ბევრია და იქამდის საზიზლარი,
რომ მისი მოგონება სუნთქვას მიძნელებს, სისხლს მიყუჩებს,
ძვლებსა ღრღნის, მტანჯავს, მაწუხებს... უკანასკნელი ჩემი
ცოდო კი თქვენ კარგათ მოგეხსენებათ და აი სწორეთ ამ
უკანასკნელი დანაშაულის შესახებ მინდა ორიოდე სიტყვა



მოგახსენო: ისინი მე საშინლათ შავიძულე, შავიძულე იმის შემდეგ, რაც მან დაიწყო ჩემს შესახებ გაზეთებში წერა და ჩემი ამბების გამოაშკარავება... შვეიცარული და ვცდილობდი, როგორმე გადამეხადნა მისთვის, დამეტანჯნა იგი, ამეტირებინა მისი დედა, მისი მეგობრები და ამხანაგები... შემთხვევაც მალე გამომიჩნდა. მამასახლისი ზაქარა დავაჯერე, ჩემი მოქარგული ენით, რომ ის კაცები დაჰლუპავენ მეთქი სოფელს, მთავრობა ჯარს გამოგზავნის მეთქი-სოფლის დასარბევად და ისა სჯობიან ის ხალხი გადავცეთ მეთქი ეხლავე მთავრობას. საცოდავი დათანხმდა და ყურ-მოჭრილი მონასამებრ წამომყვა ქალაქს და იმისი თანადასწრებით ისეთი რამ მოგახსენე მთავრობას იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელმა მაშინათვე განკარგულება მოახდინა მათ დასაქერათ... დანარჩენი ხომ შენც იცი... მე ეს გარემოება პირველ ხანებში სრულიათაც არ მაწუხებდა... პირიქით მალბინებდა, მალალებდა, ბედნიერათა ვგრძნობდი ჩემს თავს, რომ მას მაგიერი გადაუხადე. მაგრე ყოფილა ავი კაცის ბუნება! როცა ადამიანი ეშმაკს მიჰყიდის თავის სულს, იგი ბატონათ გაუხდება და მისი მონა, ე. ი. მე—ჯოჯოხეთის მუგუზლებით გაიტენება! მაგრამ საიდლანაც მომველინეთ იქვე... მოხვედით ჩემთან, თქვენი ანგელოზის ხმით არეულობა მოახდინეთ ჩემს გულში, ჩემს გულს ჩხრეკა დაუწყეთ, ჩამახედეთ სინამდვილის სარკეში... დავინახე და დავრწმუნდი—თუ—

„რა კარგია კვი კაცი, რომელიც...“
 კარგ საქმეზედ აგებულო,
 —განსაკვეყნა ჰყავს მადლიერი,
 —აე მან სწორის გული მოგებულო“
 —დამარწმუნეთ ყველა ამაში და, რადგანაც ვერ შევძელ ცოდვების დამყაყებულო ჭაობებიდან გამოსვლა, გადავსწყვიტე თავის მოკვლა... და აი ვასრულე კიდევ... ძნელია ამისთანა საქმის ჩადენა, მაგრამ უფრო ძნელია სიცოცხლე ნაძრახი, ცოდვიანი... უკანასკნელათ ამასა გთხოვ, მოძღვარო—ილოცო ჩემთვის, შამახვეწო ხალხს, რომ ჩემი ლეში ძალღებს არ მიუყარონ... თუმცა ღირსი ვარ ამისა, მაგრამ მაინცა გთხოვ... ერთი კიდევ მაქვს სათხოვნელი: ზაქარიას ნურათფერს

დააბრალებთ... იგი ჩემი გველური ენის მსხვერპლია, მაგრამ მსხვერპლი უნებლიეთი .. იმ ყმაწვილებსაც მალე გამოუშვებენ, ყველაფერი სინამდვილე მიღწერე მთავრობას... მალე მოვლენ იგინიც და იმათაცა სთხოვე ყველაფერი მაპატიონ. კიდევ ბევრი რამა მქონდა სათქმელი, მაგრამ ვიტანჯები და მინდა ამ ტანჯვას ჩქარა ბოლო მოუღო...

თქვენი უღირსი შვილი ივანე თხილაზე.

ამ წერილმა უარესი ქარ-ცეცხლი ზიყარა ჩვენს ისეთაც დატანჯულ გულს, ყველა აქვითინდა, ყველას ნაცრის ფერი გადაჰკრა, უკანასკნელათ გამოემშვიდა ყველა ამ საცოდავის გვამს... გაუთხარეს იქვე საფლავი და მიაბარეს მიწას. ყველაზედ ძლიერ მე და ჩემი ძმა ვიყავით დაღონებულნი და გულის გასართობათ მეორე დღესვე წავედით ქალაქს...

ალ. ნაიძე.





დათუნას ოინები

სკორტუოზდისა.



„ალტაზარი“-ს უდროით დაკარგვის შემდეგ, მალე გაეარდა ხმა, მთელ მაზრაში, ძუ დათვის ოინებზე-თითონ ბოროტ-მომქმედი აღარ ეკარებოდა გენდერსონების კარ-შიდამოს. მაინც და მაინც არც მათ სცხელოდათ მისთვის. გენდერსონებს გაუჩნდათ ვაჟი შვილი, რომელმაც ერთი ორათ მოუმატა სიხარული მიყრუებულ ოჯახს და დაავიწყა „ხეიბარის“ ოინები.

რაც დრო გადიოდა, „ხეიბარის“ სახელი იმდენათ საშიში ხდებოდა. ყველგან მარტო იმის ოინებზე და ლაპარაკობდენ. ლაპარაკობდენ დასახიჩრებულ მონადირეებზე, დაკარგულ ძაღლებზე და მრავალ სხვა მის ჩადენილ ოინებზე.

ეს ხმები გენდერსონებამდისაც მოდიოდა.

დღეს დღე მისდევდა, წელიწადი წელიწადს და დრო ისე ჩქარა გარბოდა, რომ „ხეიბარის“ ოინები, გენდერსონების სახლში, მარტო ძველამბათ და დარჩა.

სულ სხვა აზრები ხდებოდა მონადირეთა შორის, რომელნიც ნადირების ტყავეებს ეზიდებოდენ ძმათა გუდსონების ამხანაგობის ქარხანაში. ყველაზე გამოცდილი მონადირეებიც კი, რომელთაც ფეხის ადგმაზე ადრე ესწავლათ თოფის სროლა და ნადირის კვალის გარჩევა, ჰკვირობდენ მის ღონეს, ხერხს და ეშმაკობას. ეს მონადირენი დარწმუნებით ამბობდენ, „რომ ჯერ ისეთი ტყვია არ ჩამოსხმულა, რომელიც „ხეიბარს“ მოჰკლავდეს. იმ დათვის ეშმაკის სული უდგა, რომლის ძალითაც ახდენს ამისთანა ოინებსო“. ერთი მათგანი კიდევაც არწმუნებდა სხვებს, რომ ორი დღე და ორი ღამე, როცა ხეზედ

გამატარებინა და თვითონ ძირიდან შემომცქეროდა, იმის თვალებიდან ეშმაკი იყურებოდაო.

თუ მონადირე გამოეკიდებოდა მას, იმის ხერხიცი იცოდა, როგორ აეცილებინა თავიდან უბედურება. გაიტყუებდა მიუვალ ალაგებისკენ, თითონ უკანვე მობრუნდებოდა თავისავე კვალზედ და მიიმალებოდა ზედ ნავალის პირზედ სადმე. როდესაც მონადირე გასცდებოდა, გამოვიდოდა ჩუმათ, მიეპარებოდა უკანიდან და ვაი მის ღღეს, თუ ვერ მოასწრობდა ხეზე ასვლას.

იმის შიშით ხომ არ შეეძლოთ მონადირეებს მახე დაეგოთ. მიეპარებოდა და შეუქამდა ნადირის მოსატყუებლათ დადებულ ხორცს. თუ კიდევ შიგ მახეში ნახავდა გაბმულს ნადირს, იმას ხომ ისე დაფლეთავდა, რომ მონადირეებს აღარც ხორცათ გამოადგებოდათ და აღარც ტყავათ.

ამ აბეზარმა დათვმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ყველას შიშის ზარი დასცა. ყველაზე გულადი მონადირენიც კი ველარ გამოდიოდნენ მარტონი სანადაროთ.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ქარხნის წარმომადგენელმა ორმოცდა ათი მანეთი დაუნიშნა საჩუქრათ მას, ვინც „ხეიბარის“ ტყავს მიიტანდა. ამ ამბავზედ მიიწერა კიდევ ქარხანაში, მაგრამ უფროსისაგან პასუხათ ლანძღვა მოუვიდა.

აი რას სწერდა უფროსი: „დედაკაცები ხართ ყველანი, თუ რა ამბავია? ერთმა ძუ დათვმა ისე როგორ გაგინადათ საქმე, რომ წლის ნაამაგერი შუა გაგინახვერათ. ამ წერილის მიღებასთანავე გაგზავნეთ ყველა მონადირეები და არ გაბედონ დაბრუნება სახლში, ვიდრე დათვის ტყავი არ მოიტანონ. მე ვხედავ, რომ ჩვენ მანდ დაგვკირდება წარმომადგენელი თქვენზე უფრო ყოჩადი და ახალგაზრდა“.

ამ წერილის წაკითხვაზე წარმომადგენელი ცეცხლივით აენტო.

მაგრამ მაინც უფროსის წერილს არ უგდო ყური და ერთი ორათ მოუმატა საჩუქარი დათვის ტყავზე. მონადირეებმა ამის პასუხათ მარტო თავები გაღიქნიეს და სხვა არაფერი თქვეს.



ბოლოს, მან დაუნიშნა ორასი მანეთი ფული მას, ვინც დათვს მოჭკლავდა. სულ ერთი იყო მისთვის ქალი იქნებოდა, ბავშვი, მონადირე თუ სხვა ვინმე.

ამ განცხადების შემდეგ გავიდა ორი დღე და სოფელში მოვიდა ერთი დათვისგან მხარ ჩამოტეხილი და ნეკნებ ჩაღეწილი მონადირე. შემდეგ მთელი ორი კვირა დაიკარგა ერთი მონადირე, რომელიც ბოლოს იპოვეს ტყეში კკუაზე შეშლილი, მას მხარი მოტეხილი ჰქონდა და ნახევარი ყბა ჩამოკლილი.

ბევრი ამისთანა ოინები ჩაიდინა „ხეიბარმა“, ყველა, მისი სახელის გაგონებაზე, შიშით კანკალებდა.


ეს ამბები გენდერსონების მოშორებით ხდებოდა ისე, რომ ვიდრე დავითის ყურამდენაც მიაღწევდა საჩუქრის დანიშვნა, მთელი ორი კვირა გავიდა.

ბოლოს გაიგო დავითმაც და ძლიერ გაოცდა. იმას ვერ წარმოედგინა ორასი მანეთი საჩუქარი ერთი ძუ დათვის მოკვლისთვის. ორასი მანეთი, ეს ხომ მთელი ცხოვრებააო, თქვა დავითმა და ინატრა, ნეტა ეხლა მეწვეოდეს ის ჩვენი ძველი მეგობარი „ხეიბარი“ და მაშინ ვნახავდი, როგორი ორას მანათიანი ტყავი აცვიანო.

— ნუ ამბობ მაგას! — უთხრა ცოლმა, — მე იმისი ძლიერ მეშინიან. კარგია ძალიან ფული, მაგრამ შენ უფრო კარგი ხარ ჩემთვის.

სწორედ მეორე დილას, ამ ლაპარაკის შემდეგ, დავითი და მისი ცოლი თათლს სწურავდნენ. ამ დროს მოაქენა. ცხენი დავითის ნაცნობის შვილმა და უთხრა, რომ წუხელ დათვი ჩვენს ბაქს დაეცა, ერთი დიდი ხბო მოიტაცა, ერთი ძალლი მოგვიკლა და ერთიც საშინლათ დაასახიჩრაო. მამაჩემმა კვალზე მიაგნო იმ ადგილს, სადაც დათვმა ხორცი შეინახა და ეხლა გთხოვთ თქვენც წამოხვიდეთ, ერთად უდარაჯოთ, ვახშმათ მოვა ისევ იმ ადგილას და უქველათ მოვკლავთო.

— არა, მეშინიან შენი გაშვება, დავით — უთხრა ცოლმა. — იმ დათვმა იმდენი ვაი-ვაგლახი დააყარა ყველას, რომ მარტო იმის გაგონებაზე ფერი მეცვლება. შენ რომ მოგივიდეს რამე მე და პატარა დევის რაღა გვეშველება?!



დავითმა თოფი ხელში აიღო, იმედინათ დაუწყო თითქმის ბით წკარუნ ლულას და უთხრა ცოლს: „ნუ გეფიქრება, ჩემო კარგო! ერთი თვალი კი მოგკრა იმ დათვის და მერე მე ვიცი. იმედი მაქვს, რომ მე და ჩემი ამხანაგი იმას სიცოცხლეს მოუსპობთ.“

— ის საღამოზედ ვახშმისთვის მივა და ჩვენ კი ბლომათ ძაღლებით ჩაუსაფრდებით, რომ ისე არ მოგვატყუილოს, როგორც სხვებს ატყუებდა აქამდე.

— არა, დავით, მე გული მეუბნება, რომ შენ იმას თავის დღეში ვერ მოჰკლავ. სჯობს ისევ თავი დაანებო.

— მე მიკვირს, მოლლი, ნუ თუ სულ ტყეში ცხოვრობ და აქამდე ვერ შეეჩვიე მარტობას? არ შეიძლება, რომ მე ეხლა არ წავიდე!

დავითი შეჯდა ცხენზე, მეგობრის შეილი უკან შემოისვა, თოფი ხელში აიღო და გაუდგა გზას.

— ნახვამდის, მოლლი, ნახვამდის შენც, ჩემო პატარა ბიჭუკელო! აბა ყოჩაღათ იყავ, დედას მოუარე, ვიდრე მოვიდოდე და დიდ ტყავს მოგიტანდე. უთხრა ეს დავითმა და მოეფარა სახლს.

მოლლი კიდევ კარგა ხანი იდგა დაფიქრებული, მერე შემოვიდა სახლში და შეუდგა თავის საქმეს. თერთმეტ საათამდე მოლლიმ გასწურა მთელი თაფლი და ჩაიტანა სარდაფში ქილებით, ორმოვებში ჩასადგმელათ. სადილობა მოახლოვებული იყო, როცა მოლლიმ უკანასკნელი ქილაც თახჩაში შედგა და შეუდგა სადილის მზადებას.

— მოვამზადებ ბლომათ ფაფას, — ფიქრა მოლლიმ. — დავითთან ძლიერ უყვარს და ვახშმათ გაუცხელებ. შემოდგა ცეცხლზე ქვაბი, რომელმაც მალე დაიწყო შიშინი, დაავლო კოკას ხელი და წავიდა წყაროზე, წყლის მოსატანათ. ის იყო უნდა წყალით კოკა აევისო, რომ ტყის პირს დაინახა უშველებელი დათვი. დათვი თავის ქნევით და ბურტყუნით მოდიოდა; ეტყობოდა რაღაცას საშინელს ფიქრობდა.

მოლლი შიშის ზარმა აიტანა, მაგრამ მაინც კიდევ მოასწრო გაქცევა. ჯერ თავლის კარები დაკეტა, მერე სახლში შევარდა, დაკეტა ორივე კარები და რაც რამ სახლში იყო, სულ კარებს მიუდგა.



თავლისკენ სახლს ფანჯარა არა ჰქონდა, მაგრამ კუჭრუ-
ტანებიდან ყველაფერი ჩანდა. მოლლიმ იგრძნო თავი სიმაგ-
რეში და დაუწყა დათვს ცქერა.

დათვი მივიდა თავლასთან და დაუწყა გარშემო სიარუ-
ლი, თითქოს ათვლიერებდა—საიდან უფრო ადვილი შესასვ-
ლელიაო. ხარებმა იგრძნეს ნადირის მოახლოვება და მორთეს
საშინელი ღრიალი. დამფრთხლებმა მოგლიჯეს ბაგა, დაიწყეს
ტრიალი.

მოლლის ამ ოთხ-ხუთ წელიწადში ბევრი დათვი ენახა,
მაგრამ ამისთანა უშიშარი, შეუპოვარი და დიდი დათვი თავის
დღეში არ ენახა.


ეს ხომ „ხეიბარია“, გაიფიქრო მოლლიმ და მოაგონდა
დავითი, რომელიც სადღაც ელოდა მას, როდესაც ის მის
სახლზე იერიშით იყო მისული. „ახ, ნეტავ ეხლა თოფი
მომცა და მე ვაჩვენებდი მაგას, როგორ უნდოდა დაუპატიჟებ-
ლათ სტუმრობა“ თქვა მოლლიმ.

„ხეიბარმა“ რა ნახა, რომ შესაველი თავლას არსაიდან
ჰქონდა, მივიდა კუთხესთან და დაუწყა ფიცრებს საშინელის
ძალით დანძრევა. მართლაც ღონემ არ უმტყუნა და ერთი
ფიცარი ჩამოაგდო. მერე მას მიაყოლა მეორე, მესამე და ის
იყო უნდა შემძვრალიყო თავლაში, რომ გამოეჩანა ერთი
ხარი და ისეთი ძალით დაეტაკა მწვეტიანი რქებით, რომ
ხებრე სტუმარი ყირანალა გადაატარა. გაბრაზებული დათვი
კიდევ წამოხტა და შეეცადა შესვლას, მაგრამ ხარმა არ შე-
უშვა. ამ ბრძოლის დროს ჩამოინგრა თავლის ერთი მხარე
და ზედ თავზე დაეყარა „ხეიბარს“, ასე რომ კინაღამ შიგ
მოიყოლა. დათვი გამოძვრა, წავიდა ჯაგებისკენ და დაიწყა
ბურტყუნა.

მოლლი უყურებდა ამ სასაცილო სურათს და გულია-
ნათ ხითხითებდა.

პატარა დევის აქამდე სულ ეძინა. ეხლა კი გამოიღვიძა
და შესტირა. მოლლიმ ჩააჩუმა ბავშვი. აიყვანა ხელში უნდა
ეჭმევიანა, უცებ მიიხედა და დათვი ფანჯარაში აყუდებული
დაინახა. მოლლიმ ძლივს მოასწრო ფანჯრიდან მოშორება.

გაისმა საშინელი ზრიალი. დათვმა ერთი მაგრა შემოჰკრა
და ფანჯარა უშეშვიანათ სახლში შეისროლა.



„რა ვქნა, რომ დათვი სახლში შემომეჭრას?! უნდა დავ-
მალო დევი. იფიქრა მოლოლიმ. აიყვანა დევი ხელში, გამოს-
წია ჩაღის დიდი სკივრი, ახადა თავი და ჩასვა შიგ ბავშვი.
შემდეგ უთხრა:—ხმა არ ამოიღო, თორემ დათვი შეგვკამსო და
სკივრს თავი დახურა.

შეშინებული ბავშვი ძლივს იკავებდა ტირილს, მხოლოდ
ხანდახან ზღუქუნებდა.

უცებ ფანჯარა სულ მთლად დაბნელდა. ეტყობოდა და-
თვი შიგ შემოსვლას ლამობდა.

— ღმერთო, რაღა ვქნა ეხლა, — დაიღრიალა შეშინებულ-
მა მოლოლიმ. — მე რაც უნდა ის მომივიდეს, ოღონდ დევი გა-
დარჩეს ცოცხალი.

მაინც და მაინც არც დათვი იყო კაი დღეში. იქ ხარმა
კინალამ თვალეზი დასთხარა. აქ კიდევ ფანჯარა ძლიერ ვიწ-
რო იყო და შიგ გაჭედლილიყო; ველარც უკან მიდიოდა, ვე-
ლარც წინ.

მოლოლის უცბად აზრმა გაურბინა თავში, მოდი ცხელ
ფაფას ცხვირ-პირზე წაუსვამო, წამოხტა, აიღო ცოცხი და
ცხელი ფაფა ზედ ცხვირ-პირზე წაუსვა. დათვმა სიმწარისაგან
საშინლათ დაიღრიალა, მაგრამ ვიდრე ის ფანჯრიდან გასე-
ლას მოასწრობდა მოლოლიმ კიდევ წაუსვა ცხელი ფაფა გულ-
მკერდზე. დათვი ცოფიანივით გავარდა ფანჯრიდან და დაიწ-
ყო თათებით ცხელი ფაფის ჩამოცლა.

„ხეიბარი“ აგრე ადვილათ არ დამარცხდებოდა. ბურტ-
ყუნით ადგა უკანა ფეხებზედ და დაიწყო ფანჯარაში ყურება.

მოლოლი დაფიქრდა, რა იზიდავს ასე დათვს სახლისკენო
და უცებ მოაგონდა, რომ სახლში თათლი ჰქონდა. აიღო
ვევებრთელა თათლით სავსე ფიჭი და გადუგდო ამ არა სასიამო-
ნოვნო სტუმარს. დათვი მაშინვე მივარდა თათლს და სიამოვნ-
ებით ჩაიტკბანურა პირი. ასე შეაქამა მთელი თათლი მოლო-
ლიმ რაც სახლში ჰქონდა. შემდეგ დაფიქრდა: ეხლა რაღა
ვქნაო, მაგრამ ამის გადაწყვეტა დათვმა აღარ აცალა.

„ხეიბარს“ დაენახა სარდაფის კარი ღია, საიდანაც თათ-
ლის სუნი მოდიოდა და მაშინვე გაეშურა იქითკენ. მივიდა
კარებთან, დადგა და დაიწყო ძირს ყურება. აღბათ ფიქრობ-

და, საფრთხე არაფერი იყოსო, რამდენჯერმე გამოობრუნდა უკან, მაგრამ თაფლის სუნმა ვერ მოაშორა ის კარებს. პირში წერწყვი მოსდიოდა, კბილები უკაწკაწებდა და ტუჩები უცმაცუნებდა თაფლის სუნზე.

ბოლოს ჩავიდა სარდაფში. დიდ-ხანს არ გაუვლია, რომ მოლოდინს მოესმა ქილების ლაწი-ლუწის ხმა. ეტყობოდა დათვი ბრაზ-მორეული ამტვრევდა ქილებს.


— ხომ შემიძლიან მე ის ეხლა მოვამწყვდიო შიგ?! — იფიქრა მოლოდინს. ის მე ვერაგზით ვერ დამინიხავს. თუ ერთი კარები მოუკეტე და დავითის მოსვლამდე შიგ მოვამწყვდიე, მერე ხომ საჩუქარიც ჩვენია!.


წყნარათ აალაგა კარებიდან ყველაფერი რაც ზედ მიწყობილი ჰქონდა. შემდეგ მივიდა ფანჯარასთან ყურის დასაგდებათ, ისევ ამტვრევს ქილებს თუ არაო. რა გაიგონა ქილების მტვრევის ხმა, წელა გააღო ოთახის კარი. მიიპარა ცოცვით სარდაფის კარამდე და საშინელის ძალით მიკეტა. ვიღრე დათვი გონს მოვიდოდა მოლოდინს იმდენი შეშები და მძიმე კუნძები მიაყარა კარებს, რომ დათვის გამოსვლა შეუძლებელი იყო.

ასე მოელო ბოლო დათვის აულაგმავ ოინებს. მოელო, მერე როგორ სასაცილოთ. დედა-კაცმა მოულო „ხეიბარს“ ბოლო.

დავითმა და მისმა ცოლმა „ხეიბარის“ ტყავი მიიტანეს ქარხნის წარმომადგენელთან და მოლოდინს დაპირებული ორასი მანეთი მიიღო.

ფ. სირაძე.





აქვითინდა!

(გუძღვნა მოზარდ ემაწვილების საეგარგოდ მწერლის დ. ნ. მამინ-
სიბირაჯის სსოფნას).



ასწყდა სიმი, შვების ჰიმნი
ჩაენარცხა შავს სამარეს!
სქელი ნისლი შემოველო
მთას ამაყსა და მღუმარეს!
ხევის პირად მოჩუხჩუხე,
ცელქმა წყარომ ხმა გაკმინდა
და ბუნება სევდიანი
აქვითინდა, აქვითინდა!

შვების სხივი ნაპრალს მოსხლტა,
ზღვის ცელქ ზვირთებს ჩაექსოვა!
გულს ეუფლა სევდა მწარე,
გულს ეუფლა ზარი, გლოვა!
დასჯკნა ვარდი, იაღონი
უცხო მხარეს გადაფრინდა:
ლხენა კვენესათ შეიცვალა,
აქვითინდა, აქვითინდა!

ლადო გეგეჭკორი.



† მამინ სიბირიაკი.

(დაბადა 1852 წ. გარდ. 1914)




ავშვების მეგობარი, მათი საუკეთესო მწერალი დიმიტრი მამინ-სიბირიაკი გარდაიცვალა ორ წოემ-ბერს. ის იყო 60 წლისა მაგრამ ბოლო დრომდის ჰქონდა წმინდა გული, რწრმენა ადამიანის სიკეთეიხ და სუ-ლიერი სილამაზეში.

მკვდარი არ არი მამინ სიბირიაკისა, როგორც რუსთა ყმა-წვილებისთვის, ისეც ჩვენ ახალთაობისათვის. როგორც მწე-რალი და როგორც საუცხოვო ადამიანი ის უკვდავია თავის მკითხველების ხსონაში.

მკითხველის სიყვარული არის ყოველთვის საუკეთესო ჯილდო მწერლისათვის და თუ ეს სიყვარული პატარა მკით-ხველის გულშია აღძრული, მაშინ სწორეთ ბედნიერია ის მწერალი—მას არ უნდა ეშინოდეს სიკვდილისა. მაშინ სიბი-რიაკს მეტათ უყვარდა ბავშვები. მისი მშვენიერი, საუცხოვო ლამაზი თვალეი ყოველთვის ნაზი სიყვარულით შესცქერო-დენ პატარა ბავშვებს, ამ ჩენი ცხოვრების საუკეთესო ყვა-ვილებს.

მამინ-სიბირიაკი ასწავლის ბავშვს ყველა დაჩაგრულთ, ყველა უბედურ არსებისადმი სიყვარულს. ყოველ მის დაწე-რილ სტრიქონებში გამოიხატება შებრალება, სიყვარული არა მარტო ადამიანისა—არამედ ფრინველისა, ყოველი ცხოვე-ლისა, ყოველი ყვავილისა, მთელი ბუნებისა... ეს არის საუ-კეთესო მასწავლებელი და მეზობარი ადამიანისა. მართლაც მის საყმაწვილო მოთხრობებში, ლამაზ ზღაპრებში ვის არ შეხვ-დებით: ბებერ ბელურას, ჯიუტ თხას, შავთავა ყვავს, დათვის, ბუზანკალს, იადონს, ობოლ ვედს, მოხუკ ტარასს და მის ძაღლს, თავ-მომწონე ინდოურს, ეშმაკ კატას და სხვ. მამინი რამდენიმე სიტყვით საუცხოვოთ გვიხატავს პატარა ჩიტუნისას




ტანჯვას, მის აღწერას რომ კითხულობთ, გგონიათ, თქვენ წინ იდგეს ადამიანი თავისი გრძნობებით, თავისი რთული ცხოვრებით.

იქნება იკითხოთ, საიდან ჰქონდა ასეთი სიყვარული, ასეთი ნაზი გული? თვითონ მამინმა თავის თავზე გამოსცადა გაჭირვება, სიღარიბე და ამიტომაც ასე მშვენივრათ ესმოდა ყოველი ტანჯვა, ვაება.

მამინი იყო ღარიბი მღვდლის შვილი, დაიბადა 1852 წ. ურალის მთებში. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ—წავიდა პეტერბურგში, მაგრამ იქ უსახსრობის გამო უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა და მწერლობას მიჰყო ხელი.

მამინი სწერდა როგორც პატარებისთვის, აგრეთვე დიდებისთვის. ჩვენ ჟურნალ „ჯეჯილშიაც“ მოთავსებული იყო: „ჯიუტი თხა“, „ბებერი ყვავი“ და შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული „შავ-თავა ყვავი და იაღონი“. ის გვიანდერძებს ჩვენ მოყვასისადმი სიყვარულს, პატიოსან შრომას და ვინც ამ ანდერძს აასრულებს თამამად შეუძლიან თქვას, რომ მას უყვარდა მამინ-სიბირიაკი, რადგანაც ეცადა უკვდავი ექმნა მისი სახელი.

მ. ფ.





ველაზედ ძვირფასი.

— მომეც უძვირფასესი რაც გაქვს და გაგკურნი, უთხრა კეთილმა ფერიამ დაჭრილ ჩიტს, რომელიც რიყეზე ეგდო და კვდებოდა.

სისხლი წვეთ-წვეთად სდიოდა ჭრილობიდან ფრინველს და ჰღებავდა ქვიშას და თან სიცოცხლე ეპარებოდა პატარა სხეულიდან, რომელიც თან და თან ცივდებოდა.

— ყველაზედ ძვირფასი, რასაკვირველია, სიცოცხლეა— გაიფიქრა ჩიტუნიათ, მაგრამ რად წამართმევს კეთილი ფერია სიცოცხლეს, როდესაც თვით მპირდება განკურნებას. უთუოდ შეხუმრება. მერე შეხედა იმას მამქალღებულის თვალებით და წაიტუტუნა:

— კარგი, გამკურნე! მოგცემ უძვირფასესს.

ფერია შეეხო თავისის კვერთხით ფრინველის ჭრილობას — იარა გასაღდა და ჩიტი ბედნიერებით შეფრთხილდა, გამოცოცხლდა და გასაღდა.

— ახლა მამეც შენი ფრთები! უთხრა ფერიამ.


— არასოდეს! მიუგო ჩიტუნამ— არასოდეს, არაფრის გულისათვის!

— მიუგო ჩიტუნამ— არასოდეს, არაფრის გულისათვის!

— განა ეგენი უძვირფასესნი არ არიან მენტვის?

— კიდევ იმიტომ ვერ შეველევი ამათ! წაიჩურჩულო ჩიტუნიათ.— მიიღე ჩემი სიცოცხლე. რად მინდა იგი, თუ კი ვეღარ ვიფრენ ცის სივრცეში?

— იფრინე— უთხრა ფერიამ, — მე არ მინდა შენი სიკვდილი, მაგრამ გახსოვდეს რომ უძვირფასესი რამ, ყოველთვის სიცოცხლეზედ ძვირფასია.





გამოცანა.

უსისხლხორცო, უსულდგმულო
ორ ადგილას ბინადრობს,
რაც რომ ქვეყნათ ენა არის
ის ყველაზედ ლაპარაკობს.

ანაგრძა.

(წარმოდგენილი მ. ჯუღაშვილის მიერ)

ბეჭედს ამშვენებს—პირველი,
წითელი ქვაა, ძვირია;
ზოგის ღირსება სწორეთა
გასაოც-გასაკვირია.
მეორე — ლურჯი მიწაა,
სარეცხსა მუდამ სჭირია;
ოთხი ასოთი დაწერავთ,
არ უნდა გასაჭირია.

შარბადა.

(მისგანვე წარმოდგენილი).

პირველსა ვნახავთ მრავალგან,
მოსავლის დიდი მტერია;
მისგან ფურცელსა ხისასა,
გამოეცლება ფერია.
მეორეს—სიტყვის წინ ვიტყვით,
ძნელი აქ არაფერია ..





ქართული
ენების
სწავლის
ინსტიტუტი

მესამით — შევეკითხებით,
ნიშნით დასაწერია,
მთელი — მთა არის ნახშირის,
ცხოვრობს იმერთა ერია.

სავაჭრო.

აიღეთ ქაღალდის ნაჭერი, ერთს თავში როგორც ნა-
ჩვენებია ამ ნახატზე (I), უხალთუნის ტოლა
ამოჭრილთ. ამოჭრილის ქვემოთ, სიგრძეზე,
კარანდაშის ოდენათ, ორ ალაგას კიდევ ამოს-
ჭერით (II და III) ისე რომ ამოჭრილების შუა
ერთი თითის სიგანე ქაღალდი დარჩეს (IV)
აიღეთ ორი ან სამი მტკაველის სიგძე ძაფი და
ძაფის წვერები სათითაოთ გრძლიათ ამოჭრი-
ლებში ჩაუყარეთ, მერე ეს ორივე წვერი ძა-
ფისა რგვალათ ამოჭრილში ამოუყარეთ და თითო წვერზე
იმოტენა დაკუმშული ქაღალდი მოაბით, რომ ამით გამოძე-
რენა რგვალათ ამოჭრილში არ შეიძლებოდეს.



აბა ისე გამოხსენით ძაფი, რომ არც ქაღალდი და
შეკრული ქაღალდებიც მრგვალათ ამოჭრილში არ გააძე-
რინოთ?





ს ა რ ჩ ე კ ი

1912 წლის ეუნხალ „ჩეკვისისა“.

პატარების განყოფილება.

ლექსები:

	№	გვერდი
ჩივილი—შიო მღვიმელისა	I	3
აღუ ბიჭო ზაქარია—შიო მღვიმელისა	II	67
ჩემს ბატკანს—შიო მღვიმელისა	III	131
ტიტა—ვ. რუხაძისა	III	139
ილო და ჩიტი—შიო მღვიმელისა	—	152
მიპატუება მდელით—დ. თურდოსპირელისა	IV	195
ვასიკოს თავგადასავალი—ვ. ორბელიანისა	IV	219
სურათი—გ. ქუჩიშვილისა	V	259
მებზორე გიგა—კიკნა-ფშაველასი	—	265
სიკვდილი ფრთოსანისა—შ. მღვიმელისა	VI	323
გლეხი გოგია—ვ. რუხაძისა	—	331
გლეხის სიმღერა—ლადო გვგეჭკორისა	VII—VIII	387
წყარო—ვალეკო გოგოლაძისა	VII—VIII	418
მცონარა—გ. ქუჩიშვილისა	IX	484
შენ რათ ქვითინებ, პატარავ—ვ. რუხაძისა	X	547
მცონარა—გ. ქუჩიშვილისა(დასასრული)	—	560
ფუტკარი და ია—შ. მღვიმელისა	XI	611
ღედის ხეები—გელასი	—	617
ქრისტეს შობა—გ. ქუჩიშვილისა	XII	675
სახალწლო. შ. მღვიმელისა	—	681

მოთხრობები

(ჩრდილისა და დასავლეთისა).

რას ფიქრობდა ლომი!	I	6
ტყე და ღელე. მეგობარისა	—	12
მთარველი ანგელოზი. (თარგმანი) კატო ასათიანისა	—	18
დამალი (გასართობი) ვ. რუხაძისა	—	25
მდინარე და ღელე. მეგობარისა	II	68
ბაბუცას მეგობარი. ტასისი	—	69
საბურთალოს ქუჩა № 40. დ. ვედრებისელისა	—	132
ერთი ფოლაქის თავგადასავალი. ეკ. მესხისა	III	143
ცრუმორწმუნეების მსხვერპლი. პ. დვანელისა	—	153
კეთილი კატა	IV	197
ბებერი ბელუა. (თარგმანი) ნუცასი	—	200
ეკლიანი ბუჩქი. (ბიკოვიდან)	V	261
ფიამეტრინა (ფრანგულიდან) ბ. ავალიშვილისა	—	267
ტკბილი სიზმრები. მარო გაბაშვილისა	—	273
მსუნავი კატა (თარგმანი)	VI	325
ვალის გადახდა (ფრანგულიდან) არ. ავ—ლისა	—	328



ნამდვილი მოწამე (თარგმანი)	VII—VIII	389
დათვზე ვინადირეთ. ანასტასია-წერეთლისა	—	322
კურდღლების გამდელი. (თარგმანი)	IX	483
მთვარე არა ყოფილა! (ფრანგულიდან) ბ. ავალიშვილისა	—	503
თეთრი ყვავილი, ან. წერეთლისა	X	514
იადონი, მანანასი	—	557
ფრთხილი ძალი	XI	614
კვერნას მარცხი	—	615
თვალთმაქცი ციცუნია	—	616
სამი მეგობარი. თამ. თარხან-პოურავისა	—	618
გადარჩენ, გადარჩენ! მანანასი	—	626
მწყემსის ფიცრული (თარგმანი)	—	630
წერილი ღვთის მშობლისადმი. როზალია სიდავასი	XII	676
თვალთ-მაქცი ნაკვერჩხლები. იტა ნაკაშიძისა	—	683
თოვლის ფერია. ფრანგულიდან. ეკ. მესხისა	—	691

ბუნების შეტყველებიდან.

ერთი ნაძვის ნაამბობი. თ. თარხნიშვილისა	I	7
ერთი ზღარბის თავგადასავალი (დასასრული) თარგმანი ნი- ნო ენუქიძისა	—	13
კენჭურუ (თარგმანი) ივლიტა ნაკაშიძისა	II	77
ბაყაყი—ბარომეტრი (გადმოკეთებული რუსულიდან) ანიკოსი	—	89
ტურფა (თარგმანი) ეკ. მესხისა	IV	211
გონიერი მაიმუნი. (თარგმანი)	V	260
ბაყაყები (ბიკოვიდან)	VI	326
კანადი (ბიკოვიდან)	VII—VIII	390
ყაყაჩო	—	399
სხვის იმედით ნუ იქნები. ან. წერეთლისა	—	401
ფოლადი კალმის ამბავი (თარგმანი) იტა ნაკაშიძისა	—	429
სარდინკის კოლოფი. იტა ნაკაშიძისა	VX	511
მერცხლების ჭკუა გონება. თინა ნაკაშიძისა	X	548
სარდინკის კოლოფი. (დასასრული) თარგმანი.	—	569

იგავები, ზღაპრები, ლეგენდები ჩვენი და უცხოეთისა.

დაუსრულებელი მოთხრობა (ფრანგულიდან) ეკ. გაბაშე.	I	23
ოქროს ფოჩხი. ვანო საათაშვილისა	II	73
კურდღელი. (კორეული ზღაპარი) არჩილისა	III	140
შვი კოდალა. ვანო საათაშვილისა	IV	198
საოცარი ჯეჯილი. ვანო საათაშვილისა	V	262
გულთმისანი (კორ. ზღაპარი) არჩილისა	VI	328
მგლის აღზრდილნი. ვ. საათაშვილისა	—	339
ნის შვილები (ზანგების ზღ.) ვ. საათაშვილისა	VII—VIII	415
საოცარი ხელთაფქვევი. ვ. საათაშვილისა	VII—VIII	420
მოჯადოებული კოშკი. ვ. საათაშვილისა	IX	493
ნატურის ბეჭედი. ვიკენტი თაბუკაშვილისა	X	574
ნატურის ბეჭედი (დასასრული)	XI	623
სიმდიდრის მაძიებელი (აღმოსავლეთის თქმულება). ს. ქელ- ბაქიანისა	XII	689
რათ შუის ნიქარა! ზღაპარი. თარგმ. ტასოსი	—	700



გასართობი.

სირაქლემა	II	92
ბენდიერი თჯახი	—	—
მთის ტოლა კომბოსტო	V	280
მმურათ	XI	638
ყურმახვილი	—	638
თავაზიანი შვილი-შვილები	—	639

უფროსების განყოფილება.

ლექსები და პოემები.

ზამთარი. ლ. გეგეჭკორისა	I	28
გლეხი. ლ. გეგეჭკორისა	II	94
ღამე. დ. თურდოსპირელისა	III	160
ხმები გაზაფხულისა. ველასი	V	281
საამო დილა. ლ. გეგეჭკორისა	VI	348
დედის ალერსი. დ. თურდოსპირელისა	VII - VIII	436
შეოდგომის ღამე. ტ. ტაბიძისა	IX	516
თინათინი. ლ. გეგეჭკორისა	X	579
ზამთრის პირი. ველასი	XI	640
შობის ღამე. ლექსი ი. მკედელიშვილისა	XII	705
აქეითინდა. ლ. გეგეჭკორისა	—	727

მოთხრობები ორიგინალური და ნათარგმნი.

ბიძიას ნამბობი. ალ. ნათაძისა	I	20
პაპა და შვილი-შვილი. ეკ. ვაბაშვილისა	—	48
დაფი (თარგმანი) ეთერი რაზიკაშვილისა	—	50
დაფი (დასასრული) ეთერი რაზიკაშვილისა	II	96
ქურდის შვილი (ლესკოვის მოთხრობა, თარგმანი) ეკ. მე- მესხისა	—	107
ბიძიას ნამბობი. ალ. ნათაძისა	—	112
ბიძიას ნამბობი. ალ. ნათაძისა	III	164
დავით კოპერფილდი. (თარგმანი) ეგ. კარბელაშვილისა	IV	225
ბიძიას ნამბობი. ალ. ნათაძისა	—	239
ბიძიას ნამბობი. ალ. ნათაძისა	V	283
დავით კოპერფილდი, ე. კარბელაშვილისა	—	292
ბიძიას ნამბობი. ალ. ნათაძისა	VI	350
დავით კოპერფილდი. ე. კარბელაშვილისა	—	357
პატარა ხლოია (თარგმანი). ა. ავალიშვილისა	—	372
პატარა ხლოია (დასასრული) ა. ავალიშვილისა	VII - VIII	437
დავით კოპერფილდი. ე. კარბელაშვილისა	—	464
ბიძიას ნამბობი. ალ. ნათაძისა	IX	517
დავით კოპერფილდი. ე. კარბელაშვილისა (დასასრული)	—	643
ლომის ლეკვი. ილიკო ფალიანისა	X	581
დავით კოპერფილდი. ე. კარბელაშვილისა	—	588
ლომის ლეკვი. ილიკო ფალიანისა	XI	581
დათუნის ოინები. ფ. სირაძისა	—	649
მესამე (თარგმანი) ე. ხაბურზანიასი	—	661
ბიძიას ნამბობი. ა. ნათაძისა	—	667



ბრძოლის მოლოდინში ეკ. გაბაშვილისა	XII	710
ბიძიას ნამბობი (დასასრული) ალ. ნათაძისა	—	717
დათუნიას ოინები (დასასრული) ფ. სირაძისა	—	720

ბუნების მეტყველებიდან, მოგზაურობა და სამეცნიერო სტატიები.

როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან. ი. თიკანაძისა	I	40
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ი. ალხაზიშვილისა	I	58
როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან. ი. თიკანაძისა	II	103
ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი. ან. წერეთლისა	—	116
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ილ. ალხაზიშვილისა	—	120
კირი. ნ. წუწუნავასი	III	170
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ილ. ალხაზიშვილისა	—	187
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ილ. ალხაზიშვილისა	IV	246
სირ-ბუზი და სირ-აქლემი. ალ. ჭიჭინაძისა	V	302
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ილ. ალხაზიშვილისა	—	313
მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან. ი. თიკანაძისა	IV	345
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ილ. ალხაზიშვილისა	—	377
სპილო. ალ. ჭიჭინაძისა	VII—VIII	446
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ილ. ალხაზიშვილისა	—	455
მოკლე ცნობები. ი. თიკანაძისა	—	474
მაიმუნი. ალ. ჭიჭინაძისა	IX	525
მტკვარი, ჭოროხი და რიონი. ილ. ალხაზიშვილისა	X	494
მოკლე ცნობები. ი. თიკანაძისა	—	603
გიორგობისთვე. ეკ. გაბაშვილისა	XI	641
მოგზაურობა ახალ აფონში	—	655

ბიოგრაფია ჩენი და უცხოეთისა

ნიკო ლოლობერიძე	I	64
ჩარლზ დიკენსი. ეკ. გაბაშვილისა	III	176
ჩარლზ დიკენსის ცხოვრება. ეკ. მესხისა	—	178
პოეტო ვანტანგ ორბელიანი. ეკ. გაბაშვილისა	IV	222
იაკობ გოგებაშვილი. ეკ. გაბაშვილისა	—	344
ალექსანდრე ხაზანაშვილი. * *	VII—VIII	471
მამინ სიბირიაკი. ა. ფ.	XII	728

სხვა და სხვა ამბები.

საწერი კალმები	VI	384
გემი „ტიტანიკის“ დაღუპვა. ეკ. გაბაშვილისა	V	309
ყველაზე ძვირფასი	XII	730
გასართობი, სახუმარო ამბები, ანდაზები, გამოცანები, შარადებს, რებუსები და სხვა წვრილმანი მოთავესებულია ყოველ „ჯემჯილის“ ნომერში.		

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის



გაზეთ „თ ე მ“-ზე

ფასი გაზეთისა:

წლიურათ	2 მ.	50 კ.
ნახევარი წლით	2 მ.	
სამი თვით	1 მ.	

განცხადებათა ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	15 კ.
უკანასკნელ გვერდზე	10 კ.
ტექსტის შუაგულს	20 კ.

სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მ.
რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დასასმიძე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая, № 6,
д. Д. З. Сараджева, Ред. газ. „თეში“.

Продолжается подписка на 1912 г.

Политическая общественная и литературная ежедневная газета

годъ „Закавказье“ годъ (VII) (VII)

Подписная цѣна:

Для городскихъ

подписчиковъ:



Для иногородныхъ

подписчиковъ:

На одинъ годъ . . . 6 р.

На одинъ годъ . . . 8 р.

На полгода . . . 3 р. 50 к.

На полгода . . . 4 р. 50 к.

На три мѣсяца . . 2 р. 25 к.

На три мѣсяца . . 2 р. 75 к.

На одинъ мѣсяць . . 75 к.

На одинъ мѣсяца . 1 р.

За-границу вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородный—1 р., съ иногороднаго на иногородный—50 к.

Отдѣльный номеръ 5 коп.

Редакція открыта отъ 10 до 3 час. Редакторъ принимаетъ для личныхъ переговоровъ отъ 2 до 3 час. дня

Редакція и контора помѣщается въ Тифлисъ, на Дворцовой ул., въ домъ грузинскаго дворянства. Телефонъ редакціи № 971.

ჯ ე ჯ ი ლ ი



საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცლა მასაჲ ფალიფალი.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, ზეცარებისათვის და მოხრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება
4 მან, ქალაქ გურეთ (გაგსაუნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კან.

ქალაქ გურეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიძღვრონ:

- ქუთაისში — ისილორე კვიციანიძეს.
- ბაქოში — ქალ. მართა კვიციანიძეს.
- მინაილოვში — ვლად. ჩიქოვანს.
- გორში — კნ. თამარა თარხნიშვილს.
- სამტრედიისში — რაჭუნ ნანეიშვილს.
- თელავში — კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.
- სიღნაღში — კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
- ჭიათურაში — ქალ. ჯაფარიძეს და კნიკო წუწუნავას.
- ბათუმში — მიხეილ კალანდაძეს.

ფოტოს აღოესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ. — გამომცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1912 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ кн. Г. М. Палавандовъ.

Издатель Д. З. Горделадзе.

